საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 15 აპრილი, 2010 წელი.

№69 (6435)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიანიც ბეჭდვები სიტყვა, ცუდიოებით და ჭირებით ბუნების გაცანა ყველა უკეთესობაზე უსამაგალითოდ.

ბიბლიოთეკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

გადავარჩინოთ დედაენა!

5

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

სკანდალი თუ წინასწარ გათვლილი აქცია?..

3

ანუ რატომ ამოიღო ხმა ახლა ლევან ვარშალომიძემ?

იქნებ ყველა გზა გვეცადა?

5

ნოღაიდელსა და ნათელაშვილს შორის ვაჭრობა გაჩაღდა

2

„ვერასოდეს დავიბრუნებთ დაკარგულს, სანამ შეცდომებს არ ვაღიარებთ...“

7

საქართველოში ბავშვები უფრო ღარიბები არიან, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობა



რა ვითარებაა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში?

2

„კომპიუტერი ბავშვის ...მტერია?“

6



გერგიევი, „ლენინგრადი“ და ჩიტო-გვრიტო...

7

◎ ბრიფინგი

ალიანსი იმედს მემორანდუმზე ამყარებს



ახლად შექმნილმა პოლიტიკურმა ალიანსმა „ქვეყნის მომავლისთვის“ არასამთავრობო სექტორთან აქტიური თანამშრომლობა გადაწყვიტა.

გუშინ, პოლიტიკურმა ალიანსმა „ქვეყნის მომავლისთვის“ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს, რომელიც მოიცავდა საკითხებს: ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა; პატიმართა უფლებების დაცვა; კერძო საკუთრების დაცვა; პატიმართა უფლებების დაცვა; კერძო საკუთრების დაცვა; კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის დამყარება; სასამართლო ხელისუფლების დამოკიდებულების გარანტიების შექმნა; სოციალურად დაუცველი ფენის, ომისა და შრომის ვეტერანების დაცვა; მართლმადიდებლობის დაცვა; ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვა და განმტკიცება.

— საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით ძალიან სავალალო მდგომარეობაა. ყოველ ნაბიჯზე ადამიანის უფლებები ირღვევა, — განაცხადა პოლიტიკური ალიანსის „ქვეყნის მომავლისთვის“ ხელმძღვანელმა გიორგი ლაღიძემ.

მემორანდუმზე ხელმომწერი ორგანიზაციები უანგაროდ ყველა იმ ადამიანს მოემსახურებიან, რომლის უფლებაც ამა თუ იმ სფეროში უხეშად დაირღვა.

პოლიტიკური ალიანსის მთავარი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ღუღუნაშვილის თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციებმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში სერიოზული როლი შეასრულეს. „ამიტომაც ვალდებული ვართ, მათთან მჭიდროდ ვითანამშრომლოთ და ადამიანის უფლებები დავიცვათ“.

მემორანდუმს კავკასიის ხალხთა კონგრესმა და ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციამ მოაწერა ხელი. გიორგი ლაღიძის თქმით, უახლოეს დღეებში მათ სიას სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიებიც შეუერთდებიან.

ეკა მაშიანოვა

◎ არჩევნები

ნოღაიდელსა და ნათელაშვილს შორის ვაჭრობა გაჩაღდა

საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების პროცესში ეროვნული საბჭოს ერთ-ერთ ლიდერს ზურაბ ნოღაიდელსა და ლეიბორისტების ლიდერს შალვა ნათელაშვილს შორის საარჩევნო უბნებში ადგილების ყიდვასთან დაკავშირებით ვაჭრობა გაჩაღდა. როგორც „პირველისთვის“ გახდა ცნობილი, ნოღაიდელმა მთელ რიგ საარჩევნო უბნებზე ადგილები ლეიბორისტებისგან შეიძინა და ამაში პარტიის ლიდერს შალვა ნათელაშვილს, არც მეტი, არც ნაკლები, ნახევარი მილიონი დოლარი გადაუხადა. ლეიბორისტული პარტია კვალიფიციური სუბიექტია, რომელიც ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაციაში თითო წარმომადგენლითაა წარმოდგენილი.

„იმის გათვალისწინებით, რომ ლეიბორისტებს 30 მაისის არჩევნებისთვის ბოიკოტი აქვთ გამოცხადებული, ამ ეტაპზე მათ უბნებში საკუთარი წარმომადგენლების ყოლა არ სჭირდებათ. სამაგიეროდ ამ ადგილებში ფული ნოღაიდელმა გადაიხადა და ადგილობრივი არჩევნებისას უბნებში მათი კვოტით ეროვნული საბჭო ისარგებლებს“ — აცხადებს სარწმუნო წყარო. მისივე ინფორმაციით, საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში ადგილების ქონის ხიბლი დიდწილად მდივნის თანამდებობას უკავშირდება.

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კანონმდებლობის გათვალისწინებით, კომისიის მდივანი კომისიის შემადგენლობიდან ირჩევა, ხოლო კანდიდატურის დასახელების უფლება კომისიის ნებისმიერ ორ წევრს გააჩნია. ნოღაიდელსა და ზოგადად ეროვნულ საბჭოს კონსერვატორების სახით საარჩევნო კომისიებში გარანტირებული ერთი წარმომადგენელი უკვე ჰყავთ, ლეიბორისტებისგან „შეძენილი ადგილებით კი მათ უკვე საარჩევნო უბნებზე კომისიის მდივნების წარდგენის უფლებაც ექნებათ. „პირველის“ ინფორმაციით, საარჩევნო კომისიებში ადგილების დათმობის თემაზე ლეიბორისტებთან სხვა პოლიტიკური სუბიექტებიც ვაჭრობენ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „პირველი“ თავად ლეიბორისტებს დაუკავშირდა, რომლებიც ამ ინფორმაციას „სიბრიყვეს“ უწოდებენ.

„ნახევარი მილიონი რა მოსატანია, ნახევარი მილიარდი მოიტანეს ჩემოდნით! ასეთ სიბრიყვეზე როგორ შეიძლება, კომენტარის გაკეთება?“, — აცხადებს პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა. ამასთან, მან არ უარყო ის ფაქტი, რომ ლეიბორისტებმა ეროვნულ საბჭოს, ალასანიას ალიანსსა და მრეწველებს საკუთარი ქვოტით გათვალისწინებული ადგილები შესთავაზეს იმ საარჩევნო ადმინისტრაციებში, რომლებსაც თავად ვერ აკომპლექტებენ და შესაბამისად, მიაჩნიათ, რომ არჩევნების გაყალბების საშიშროება არსებობს.

◎ გენდერი

ქალებს წარმატებას მოუტანსო...

ცნობილი საერთაშორისო ექსპერტი გენდერის საკითხებში, „თეთრი ლენტის“ კამპანიის დამაარსებელი მაიკლ კაუფმანი, გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ეგიდით თბილისს ეწვია.

ვიზიტის ფარგლებში კაუფმანი უძღვება გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის მიერ ორგანიზებულ რეგიონულ ტრენინგს „მამაკაცების ჩართულობა და მათი როლი ქალის მიმართ ძალადობის დაძლევაში“. ტრენინგში მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის სამი ქვეყნიდან — აზერბაიჯანიდან, საქართველოდან და სომხეთიდან.

გუშინ, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ მაიკლ კაუფმანმა საჯარო გამოსვლა და პრესკონფერენცია გამართა.

„უკვე ოცი წელია აქტიურად ვიღწვი გენდერული ძალადობის დაძლევისა და გენდერული თანასწორობის დამკვიდრებისათვის. აქტიურად ვთანამშრომლობთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მსოფლიოს 50-ზე მეტი ქვეყნის მთავრობასთან. ჩვენი მეთოდოლოგია მიზნად ისახავს, აამაღლოს მამაკაცების ჩართულობა გენდერული თანამშრომლობის დამკვიდრებასა და გენდერული ძალადობის დაძლევაში, რადგანაც მამაკაცებს ამ თვალსაზრისით გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლიათ“, — დასძინა კაუფმანმა.

სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი, პარლამენტის თავმჯდომარესთან



არსებული გენდერული საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე რუსუდან კერვალიშვილი, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიორგი წერეთელი, საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ერიკ ფურნიე და გაეროს მოსახლეობის ფონდის ოფისის ხელმძღვანელი თამარ ხომასურიძე.

რუსუდან კერვალიშვილი სტუმრებს მიესალმა და პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა: „გაეროს მოსახლეობის ფონდთან ერთად ყოველწლიურად ტარდება ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პროგრამა, რომელშიც ჩვენც ვმონაწილეობთ. დღეს საფუძველი ჩაეყარა სამდღიან ტრენინგს, იმედი მაქვს, ეს ყველაფერი ქალებს წარმატებას მოუტანს.

საქართველოს პარლამენტმა გაეროს მოსახლეობის ფონდთან ერთად, ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ პროგრამას უმასპინძლა, ამ პროგრამამ ძალიან დიდი მხარდაჭერა ჰპოვა ქართველ მამაკაცებში“, — აღნიშნა კერვალიშვილმა.

ლონისძიებას, ასევე, ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის, მთავრობის, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები.

თინათინ ბორცვაძე

◎ ანგარიში

საქართველოში ბავშვები უფრო ღარიბები არიან, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობა

რა ვითარებაა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში?

„...არ ვიცოდი, დრო როგორ გამეყვანა, სანამ ეკლესიის მშენებლობა არ დაიწყებოდა, მერე — მეცადინეობა ეროვნული გამოცდებისთვის“ — ჰყვება ავჭალის კოლონიის არასრულწლოვანი პატიმარი. ქვეყანა, სადაც მკვლელებს ათავისუფლებენ (სუბიექტური მოტივით), ხოლო ტელეფონის ქურდობისთვის 14 წელსაც კი უსჯიან გასამართლებულებს, ძნელია ისაუბრო, როგორ ტარდება რეფორმები ციხეებში, მით უფრო იქ, სადაც არასრულწლოვნები იხდიან სასჯელს. თუმცა ზედმეტად არაობიექტური უნდა იყოს ჟურნალისტი, არ თქვას იმ მიღწევებზე, რეფორმებზე, რაც ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელდა საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში. თუმცა ეს არის მხოლოდ სახელმწიფო სტრატეგიის დამსახურება. რადგან წარმატება დიდწილად განაპირობა გაეროს ბავშვთა ფონდის ძალისხმევამ და ევროკავშირის ფინანსურმა დახმარებამ (მილიონ 270 ათასი ევროს ოდენობით).

გუშინ „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა პროექტის „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის რეფორმირება არასრულწლოვანი მსჯავდებულებისათვის“ პრეზენტაცია. მოწვეული იყვნენ პარლამენტის წევრები, რამდენიმე სამინისტროს წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ჰოლანდიის ელჩი და სხვა უცხოელი სტუმრები.

ხათუნა კალმახელიძე კმაყოფილია მიღწეული შედეგით: „2009 წლიდან არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებებში დაიწყო ინდივიდუალური რეინტეგრაციის გეგმის პილოტურად განხორციელება. გარემონტდა და კომფორტული გარემო შეიქმნა, დაინერგა პროფესიული გადამზადების კურსები და აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით. ასევე UNICEF-ის მხარდაჭერით მიმდინარეობს ადმინისტრაციული კორპუსის მშენებლობა არასრულწლოვანთა დაწესებულებაში, რომლის დასრულების შემდეგ შესაძლებლობა გვექნება ფართი გამოვიყენოთ სხვადასხვა სახის აქტივობებისთვის“.

ავჭალის ბავშვთა კოლონიაში 153 მოზარდი იხდის სასჯელს, ხოლო თბილისის №5 ქალთა და არასრულწლოვანთა საპყრობილეში — 4 გოგონა. ორივე დაწესებულებაში გარემონტდა სასწავლო ოთახები, აღიჭურვა კომპიუტერით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო მასალებით, და რაც მთავარია, დაინერგა ხელობის შემსწავლელი სხვადასხვა პროგრამა, გაიხსნა სახელოსნო, სადაც ბავშვები ხელობას ეუფლებიან: სწავლობენ თმის შეჭრას, ვარცხნილობას, ჭრა-კერვას, კომპიუტერის შეკეთებას, ვიდეომონტაჟს, ვებ-დიზაინს და სხვა.



როგორც შეხვედრაზე ითქვა, მოზარდების დიდი სურვილი ყოფილა ფოტოგრაფია, ვიდეოგადაღება, მობილური ტელეფონების შეკეთება, თუმცა, ციხის სტანდარტების შესაბამისად, ამ ნივთების შეტანა აკრძალულია.

ჰოლანდიის ელჩის დახმარებით სპეციალური მომზადება გაიარა პრობაციის სამსახურის ყველა თანამშრომელმა, ამოქმედდა ფსიქოლოგიის სამსახური, რომელიც ეფექტიანად ეხმარება იქ მოხვედრილ პატიმარ ბავშვებს. სპეციალური პროგრამა გაიარა 22 ბავშვმა, იმათ, ვინც მკვლელობისთვის იხდიდა სასჯელს, და მათ განიცადეს ფსიქო-ემოციური ცვლილებები, გაუჩნდათ თანაგრძნობა მსხვერპლის მიმართ, რაც შემდეგში დაეხმარება მათ სოციალურ რეაბილიტაციაში, — აღინიშნა შეხვედრაზე.

ეს იყო შუალედური ანგარიში; გასაკეთებელი კიდევ ბევრი დარჩა, მათ შორის, მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მსჯავრდებულზე ინდივიდუალურად გაიწერება გეგმა სასჯელის მოხდის პერიოდში, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, მასწავლებელი ინდივიდუალურად მიუსადაგებენ მოზარდს შესაბამის გეგმას.

გაეროს ბავშვთა ფონდი იწონებს იმას, რომ საქართველოს მთავრობამ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 14 წლამდე ასწია, მაგრამ ამის მიუხედავად მოითხოვენ, რომ თავისუფლების აღკვეთა უკიდურესი ზომა იყოს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისთვის.

ზოგადად, იმისათვის, რომ მოზარდთა შორის დამნაშავეობამ იკლოს, ან თითქმის არ იყოს, საუკეთესო საშუალება პრევენციაა. თუმცა როგორ, რა გზით, ამას მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების ძალისხმევა ვერ უშველის, დიდ როლს ასრულებს ოჯახი, გარემო... თუმცა არის ერთი საგულისხმო ფაქტორი... UNICEF-ის დაკვეთით 2008 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ბავშვთა დაახლოებით 12 პროცენტი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს, ხოლო 28 პროცენტი სიღარიბის საერთო ზღვარს მიღმაა დარჩენილი. საქართველოში ბავშვების 44 პროცენტი დღეში 5 ლარზე ნაკლებს მოიხმარს და რომ ბავშვები უფრო ღარიბები არიან, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობა, სახელმწიფოსგან ისინი ნაკლებ დახმარებას ღებულობენ. აქედან გამომდინარე დასკვნაც მარტივია, ძირითადად ბავშვს დანაშაულისკენ ის გარემოება და ყოფა უბიძგებს, რაშიც ძალაუნებურად უწევს არსებობა...

ნია ფიფია

◎ მოთმინების ფიალა

სკანდალი თუ წინასწარ გათვლილი აქცია?..

ანუ რატომ ამოიღო ხმა ახლა ლევან ვარშალომიძემ?

***რამდენიმე** დღეა, აჭარას ახალი თავსატეხი გაუჩნდა. რატომ „ამხილა“ საქვეყნოდ აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი და მისი კაბინეტის წევრები ავტონომიის ინტერესების იგნორირებაში? თურმე ნუ იტყვით და, ლევან ვარშალომიძე გილაურს წერილებს სწერს, რომ აჭარის მთავრობასა და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას შორის ფუნქციების დელეგირება მოხდეს. გილაური კი ამ წერილებს ან არც კითხულობს, ან ისეთ უპასუხისმგებლო ჩინოვნიკებს უგზავნის „შესასრულებლად“, რომლებიც ბათუმს ფარატინა ქაღალდზე დაწერილ პასუხსაც არ აღირსებენ.*

ისე კაცმა რომ თქვას, თუ ასეთი განუკითხაობაა მთავრობაში, ჩვენ, ჩვეულებრივ მოკვდავებს, რისი იმედი უნდა გვქონდეს? თუ აჭარის პირველ კაცს არ უგზავნიან პასუხებს, „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტს ვინ აღირსებს ყურადღებას? ამას ბატონი ლევანის და მისი პრესსამსახურის გასაგონადაც ვამბობ, რადგან რაც იგი აჭარის მმართველად დაინიშნა, მას შემდეგ არცერთხელ არ მივუწვევივარ პრესკონფერენციასა თუ მთავრობის სხდომაზე.

როგორც ჩანს, აჭარის სამთავრობო ტელევიზია, „რუსთავი“ და „იმედი“ უფრო საიმედოა, ვიდრე თქვენი მონა-მორჩილი და ის ცენტრალური გაზეთები, რომლებთანაც მე ვთანამშრომლობ.

ეს ისე, სიტყვას მოჰყვა, თორემ თუ ჟურნალისტი ხარ, არც წყარო გიჭირს და არც სამთავრობო ამბების გაგებაა დიდი პრობლემა.

სწორედ ერთმა ასეთმა წყარომ გამანდო, ლევან ვარშალომიძე უპირველესად იმითაა უკმაყოფილო, სარფის საბაჟოსა და ბათუმის პორტში შემოსული ტვირთების სერტიფიცირება ფოთში რომ ხდება და ფულსაც ბიზნესმენები იქ იხდიანო.

ამასთან დაკავშირებით კიდევ რაღაც-რაღაცები მითხრა იმ კაცმა, მაგრამ ყველაფერს ხომ არ დავიჯერებ, ანდა, მით უმეტეს, ხომ არ დავწერ. რაც შეეხება აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის და სოფლის მეურნეობის მინისტრის გასაჭირს, ეს მართლაც საცოდაობაა. როგორც ჩანს, ქვეყანაში არც ისე ყოფილა საქმე დაწყობილი, როგორც ჩვენ გვიმტკიცებენ. საქართველოს და ავტონომიის მინისტრები ან დამდურებულები არიან, ან სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ და ამიტომ ვერ აგებინებენ ერთმანეთს, რა უნდათ.

თუ თბილისელი მაღალჩინოსნები აჭარის პირველ პირს და მის მინისტრებს წერილებზე პასუხს არ სცემენ, მოქალაქეებს სატელეფონო ზარებზე უპასუხებენ? არ მითხრათ ახლა, სატელეფონო ზარები რა შუაშიაო. გახსოვთ, ალბათ, ამ რამდენიმე წლის წინათ პრეზიდენტმა ერთი ამბავი რომ ატეხა, თურმე ზოგი მინისტრი მოქალაქეებს ზარებზე არ პასუხობსო და სასტიკად დატუქსა ისინი. მას მერე ჭკუის სწავლების ნაცვლად მთლად წასულა ხელიდან ეს ხალხი და ეგაა.

ახლახან ატეხილ სკანდალთან დაკავშირებით ერთ საჯარო გამოსვლაში აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ემზარ ძირკვაძემ ასეთ კურიოზულ ფაქტზე ისაუბრა. სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადასაზიდი ხის ტარა – ყუთები, ძირითადად ხულოს რაიონში მზადდება. ამას აქაური ტყის მასივების სიუხვე განაპირობებს. მაგრამ, რადგან აჭარაში შესაბამისი ლაბორატორია არ არსებობს, ყუთების ქვეყნის შიგნით, თუ საზღვარგარეთ გასაგზავნად მათი ვარგისიანობის, უვნებლობის შემოწმებას ავტონომიურ რესპუბლიკაში ვერ ახერხებენ. ამიტომ ფიტოსერტიფიკატის მისაღებად ხულოდან ხის ყუთები ჩოხატაურში უნდა წაიღონ, იქ მათ სათანადო შემოწმება ჩაუტარდებათ, ფიტოსერტიფიკატიც მიენიჭებათ და ჰაიდა, ჩაანყვეთ შიგ ციტრუსი, ხილი თუ სხვა და გაგზავნე სადაც გინდა.

ხულოდან ბათუმამდე დაახლოებით ასი კილომეტრია, ბათუმიდან ჩოხატაურამდე კიდევ ამდენივე. ესეიგი, იქეთ-აქეთ ყუთწამოკიდებულ მეწარმეს ოთხასი კილომეტრის გავლა უწევს, რათა მისი ვარგისიანობის დამადასტურებელი დოკუმენტები მოიპოვოს. ამის მეტი უფლებამოსილება რომ არ ექნება ავტონომიის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რაღა უნდა თქვა.

დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც „საქართველოს რესპუბლიკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში „საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირის“ თავმჯდომარემ, საქართველოს ორი მოწვევის პარლამენტის ყოფილმა წევრმა თამაზ ცინცაძემ განაცხადა: აჭარაში საპრეზიდენტო მმართველობაა, აქაურ ხელისუფალს პრეზიდენტი ნიშნავს და მას თბილისიდან ბევრს არაფერს ეკითხებიანო. მაშინ თუ ეს განცხადება გადაჭარბებულად ჩავთვალე, ახლა ვუხდი ბოდიშს ბატონ თამაზს, რომ არ დავუჯერე, თურმე მართალი ყოფილა!

ქართულ მასმედიასა და ხელისუფლებაში ატეხილ ამ სკანდალს ბევრი კითხვა ახლავს. თუნდაც ასეთი: ქვეყნის პრეზიდენტი ყოველ მეორე დღეს ბათუმშია და ისე ხომ არ იქნება მასპინძელს – აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს არ შეხვდეს. ძნელი დასაჯერებელია ისიც, რომ ასე უჭირდა მას თავისი ინსტიტუტის მეგობრისა და ქვეყნის მეთაურისათვის ეთქვა, უთხარი ერთი გილაურს და მის მინისტრებს, ჩვენს წერილებზე პასუხები მაინც გამოგვიგზავნონო. სხვა საქმეა ელემენტარული უფლებამოსილებით აჭარის სამინისტროების აღჭურვა. პირდაპირ ცოდვით დაიწვებოდი კაცი აჭარის მთავრობის თავმჯდომარის და მისი ოთხი მინისტრის ბრიფინგს რომ ნახავდი. რაღაა იგი მინისტრი, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელსაც რომ ვერ დანიშნავს დროებით, ან სიმწრით მოყვანილი ციტრუსის ნაყოფის საზღვარგარეთ გასაგზავნ სერტიფიკატს რომ ვერ გასცემს. ამ ქაღალდის ასაღებად მეციტრუსეები ან ფოთში გარბიან თურმე, ანდა თბილისში.

აი, ბატონო, ფულის ხარჯვისა და ფულის კეთების ოქროს სქემა!

ამისთანა უფლებააყრილი სამინისტროს საშტატო განრიგში ოცდაათი მუშაკი ირიცხება, რომელთა შენახვა ყოველთვიურად ქართველ გადასახადების გადამხდელებს 31 ათას 330 ლარი უჯდება. სამინისტროში, ბუნებრივია, ერთი მინისტრია, რომელსაც ოთხი (?!) მოადგილე ჰყავს – ერთი პირველი და სამი რიგითი. ახლა დეპარტამენტებს და განყოფილებებს არ იკითხავთ? მარტო ადმინისტრაციულ დეპარტამენტში 12 კაცია დასაქმებული. ესენი არიან მრჩევლები, თანაშემწეები, მთავარი და რიგითი სპეციალისტები საქმის წარმოებასა თუ სხვა დარგებში. საფინანსო-საბუღალტრო დეპარტამენტი – სამი მუშაკით, იურიდიული დეპარტამენტი უფროსითა და სპეციალისტით, სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებისა და რეფორმების განყოფილება 8 კაცის შემადგენლობით და, ბოლოს, სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი 4 მუშაკითაა წარმოდგენილი. აღსანიშნავია კიდევ ერთი – აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატში 2 მეცნიერებათა დოქტორი და 4 მეცნიერებათა კანდიდატია დასაქმებული. ამაზე ერთმა ჩემმა ბათუმელმა კოლეგამ მითხრა: ვერ გამიგია, სოფლის მეურნეობის სამინისტროა თუ მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებაო. ამ სამეცნიერო პოტენციალის სამინისტროს



რომელიმე დიდი ქვეყანაც ინატრებდა, მაგრამ რად გინდა, ჩვენთან ან მათი სამეცნიერო ნაშრომები ვის სჭირდება, ან მათი რეკომენდაციები.

რა ქნან? რა მათი ბრალია, არ აძლევენ, ბატონო საშუალებას, თორემ მთებს გადადგამდნენ. ასეა აგი, აბა!

ეს სკანდალი რომ ზემოთაა შეთანხმებული, ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. როგორც ბათუმში ამბობენ, ადგილობრივი არჩევნების წინ აჭარის ხელისუფლების შერყეული იმიჯი ამ გზით უნდათ აღადგინონ. არადა ბათუმის რევოლუციის შემდეგ, ჯერ იმის შიშით, ბაბუინობა არ დაგვაბრალონო, ჩუმ-ჩუმად, შემდეგ კი უკვე ხმამაღლა ალაპარაკდნენ იმ უუფლებობაზე, აჭარის ავტონომიის ყველა რგოლში რომაა გამეფებული. ხშირად გაიგონებთ, ეს რაღა ავტონომიაა, რომელიმე რეგიონის გუბერნატორზე მეტი უფლება რომ არ გექნებაო. პარადოქსია ისიც, რომ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ქონების განკარგვის უფლებით პრეზიდენტს უთანაბრდება. მას, ისე როგორც საქართველოს პრეზიდენტს, აჭარის ქონების განკარგვის უფლება აქვს, ანუ იმ ფასად შეუძლია გაყიდოს ჩვენი მამა-პაპათა თავნაკლავი, როგორც საჭიროდ ჩათვლის. ამ უფლებით აღჭურვილი კაცი კი თავის რეგიონში სკოლის დირექტორის შემცვლელსაც რომ ვერ დანიშნავს, პარადოქსია აბა რა.

ამ წერილს რომ ვამზადებდი, ძველი და ახალი ხელისუფლების არაერთ მაღალჩინოსანს ვესაუბრე. ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ აჭარის კონსტიტუცია სერიოზულ ცვლილებებს საჭიროებს. თუმცა არც ესაა საკმარისი. ქვეყნის საკანონმდებლო ბაზაც შესაცვლელია. ფაქტობრივად, აჭარას მთავრობის თავმჯდომარე მართავს, რომელსაც პრეზიდენტი ნიშნავს. აჭარის უმაღლესი საბჭო კი ამ დანიშვნას ამტკიცებს. არ დაამტკიცებს და, ქვეყნის პირველ პირს უფლება აქვს, ეს უმაღლესი საბჭო დაითხოვოს (?!). ამის მერე „ხალხის რჩეული დეპუტატები“ თავს აიტკივებენ და ამ დანიშვნის გაფორმებაზე უარს იტყვიან?

აჭარის უმაღლეს საბჭოს იმის უფლებაც არა აქვს, თავის ყოფილ დეპუტატებს პენსიები დაუნიშნოს. აჭარის რევოლუციის შემდეგ არჩეულ საკანონმდებლო ორგანოს შარშან გაუვიდა ვადა. პენსიები კი ყოფილ დეპუტატებს არ დანიშვნიათ.

როგორც ჩანს, ეს იმიტომ, რომ ასლან აბაშიძის დროინდელი ორი მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატებიც უპენსიოდ არიან დარჩენილები. თუმცა ამ უკანასკნელებისგან განსხვავებით, ნაცმოძრაობის დეპუტატების დიდი უმრავლესობა შარშანვე დაასაქმეს. ძირითადად აჭარის ოთხი სამინისტროს შტატების გაბერვის ხარჯზე, ზოგმაც მთავრობის აპარატში გადაინაცვლა, ზოგიც უმაღლესი საბჭოს შტატში ჩაირიცხა. პენსიები თუ არ დაენიშნათ, ამ გზით ხომ მაინც ღებულობენ სარგოს? ბევრი მათგანი ორ ან სამ ადგილასაა სახელმწიფო სამსახურში დანიშნული. ბათუმში ამაზე ხუმრობდნენ, მალე აჭარაში საჯარო სამსახურში ჩვეულებრივი მოქალაქე დამლაგებლის, ან ყარაულის ადგილსაც ვერ იშოვის, რადგან აჭარის ყოფილ დეპუტატებს ექნებათ დაკავებული ყველა ადგილიო.

აჭარიდან ტელევიზიის საშუალებით წამოსულ სკანდალს თბილისშიც წინასწარ გათვლილ აქციად აფასებენ, რომელსაც რა მთავარი მიზანი აქვს, მალე გამოჩნდება. თუმცა ამ აურზაურს მომავალში ჩვენთვის შეიძლება არცთუ სასურველი შედეგი მოჰყვეს: თუ სერიოზულად ვფიქრობთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებაზე, ერთადერთი შემორჩენილი ავტონომია შესაბამისი უფლებებით უნდა აღიჭურვოს. რასაც ახლა ტელევიზიები გადასცემენ, ამის გამგონე და შემხედავი აფხაზები და ოსები როგორი ენთუზიაზმით შეეცდებიან ჩვენი ქვეყნის შემადგენლობაში დაბრუნებას, ამის მიხვედრას დიდი სიბრძნე არ სჭირდება. ეს ფაქტი ქართული სახელმწიფოს დემოკრატიის დონეზეც მიანიშნებს.

ამირან კილურაძე
„სრ“ საკ. კორ. ბათუმი

◎ თბილისსა და ბათუმს შორის...

თათბირი ბრიფინგის შემდეგ

ლევან ვარშალომიძის ბრიფინგს, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და საქართველოს მინისტრთა კაბინეტს შორის ურთიერთობების დელეგირებას ეძღვნებოდა, საკმაოდ არაერთგვაროვანი გამოხმაურებები მოჰყვა. ტელევიზიებში გასული ინფორმაციის ფორმები, ასევე სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიათა წარმომადგენლების მოსაზრებები (თუ სურვილები) აჭარის ავტონომიასა და საქართველოს მთავრობას შორის ურთიერთობის დრამატიზების მუხტით იყო განმსჭვალული. მაგალითისთვის ვიტყვი, რომ კურიერის „ცნობით“, ბატონი გილაური თათბირს, რომელზეც ლევან ვარშალომიძე მთავრობის წევრებს შეხვდებოდა, არ დაესწრებოდა. ასეთი ინფორმაცია კიდევ უფრო ძაბავდა სიტუაციას. არადა, როგორც აღმოჩნდა, პრემიერ-მინისტრი, უბრალოდ თბილისში არ იმყოფებოდა, ხოლო რაც შეეხება იმ საკითხებს, რომლებიც ამ თათბირზე განიხილებოდა, მათ შესახებ პრინციპული შეთანხმება უკვე არსებობს, ხოლო გადაწყვეტა უბრალოდ მუშა პროცესშია რაც კონკრეტული შეხვედრების დროს ეტაპობრივად გადაწყდება.

როგორც საქართველოს მთავრობის პრეს-სპიკერმა, ბატონმა ნიკო მჭედლიშვილმა თქვა, თათბირი ჩატარდა აბსოლუტურად საქმიან ვითარებაში და ის თემები, რომლებიც განიხილებოდა, მიმართული იყო ადგილობრივი მოსახლეობისთვის დღეს არსებული ზოგიერთი ბიუროკრატიული ბარიერის მოხსნისა და სხვადასხვა პრობლემის გადაწყვეტის გაიოლებისთვის. მაგალითად: დაყენებული იქნა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის (სანამ სამეურვეო საბჭო ახალ დირექტორს აირჩევს) ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიერ დანიშვნის საკითხი. ასევე დადებითად გადაწყდება ადგილობრივი ბიზნესმენებისათვის ფოთის ან თბილისის ნაცვლად იმპორტ-ექსპორტისთვის საჭირო დოკუმენტაციის ადგილზე მიღება. დღევანდელი კანონმდებლობით, იმისთვის, რომ ადგილობრივმა მხატვარმა, თავისი ნამუშევრების გამოფენის საზღვარგარეთ მოსაწყობად, თბილისიდან უნდა მიიღოს ნებართვა, იგივე პრობლემის წინაშე დგას უცხოელი ტურისტი, რომელიც თუნდაც 20 ლარად ღირებულ ნივთს შეიძენს, ამ შეხვედრის შემდეგ ეს საკითხიც უახლოეს დროში მოგვარდება.

რაც შეეხება ვარშალომიძის მიერ ჩატარებულ ბრიფინგს, ანუ მთავრობასთან ურთიერთობის საკმაოდ უცნაურ ფორმას, ვიტყვი, რომ ის მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობისთვის იყო გათვლილი (შეიძლება კიდეც რაღაც „კულუარული“ დატვირთვაც ჰქონდა). ხოლო იმ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ აჭარაში „ასლანიზაციის აჩრდილმა გაიშრიალა“, ნათლად ჩანს, რომ ეს არ მოხდება. არ მოხდება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ასლანი – ლომი იყო (თუნდაც სახელიდან გამომდინარე), ლევანი კი თბილისსა და ბათუმს შორის „კატა“-ობს.

გია გაბრიჭიძე

◎ თუ გული გულოგს...

დასავლეთს პრობლემების მოგვარება გულით რომ სურდეს...

დასავლეთისგან განსხვავებით, რუსეთს ჩვენი პრობლემების მოგვარება აბსოლუტურად ყოველგვარი ძალის გამოყენების გარეშე შეუძლია. ამისთვის მას არც დასავლეთთან სჭირდება დაპირისპირება და არც აფხაზეთ-სამაჩაბლოში ადგილობრივ მთავრობასა თუ ხალხთან ანგარიშსწორება, ან მათი თანხმობა! რუსეთის ხელისუფლებას პრობლემის მოგვარება ნებისმიერ დროს შეუძლია ერთი სატელეფონო ზარით(!) იმ შემთხვევაშიც კი, თუ არც ერთი რუსის ჯარისკაცი საქართველოს მიწაზე (ანუ აფხაზეთ-სამაჩაბლოში) არ იქნება, მას არც ჯარის თავმოყრა და დასაშინებელი მანევრების ჩატარება დასჭირდება „დამოუკიდებელი" აფხაზეთის და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" საზღვრებთან.

ყველას გვახსოვს ბაღაფშის წინა (რამდენიმე წლის წინათ) არჩევნებში გამარჯვება, როცა რუსეთმა თავისი ღიად მხარდაჭერილი კანდიდატი (მგონი, ხაჯიმბა) ვერ გაიყვანა. მერე რა, ორ დღეში ორივე აფხაზი იძულებული იყო თავისი ფეხით ხლებოდა პრეზიდენტ პუტინს და მის ყოველ სიტყვას უსიტყვოდ დათანხმებოდა. სულ უბრალო და, სხვათა შორის, კანონიერი სვლა გააკეთა მაშინ რუსეთმა – ადგა და საქართველო-რუსეთის შეთანხმების პირობები აფხაზეთის ბლოკადის თაობაზე მარტო ქაღალდზე კი არა, მართლა შეასრულა – ჩაკეტა თავისი საზღვარი და აფხაზეთი გამომწყდეული დატოვა თავისი მანდარინებით (სწორედ მოსავლის დრო იყო) ზღვასა და მთებს შორის მარტოდ მარტო! ეს იყო და ეს. თავად აფხაზებს ეს ჩემზე უკეთ ახსოვთ და ამიტომ ახლა ორ დღესაც აღარ აუხტებიან რუსეთს. ბევრად უარეს დღეში აღმოჩნდებიან ოსები, თუ რუსეთმა როკის გვირაბი ჩაკეტა და გაზის მიწოდებაც შეუწყვიტა მათ.

ერთი სიტყვით, ის, **რაც ამერიკა–ევროპას თავისი სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალის მიუხედავად არ ძალუძს (საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა), რუსეთისთვის ის „ერთი გადაფურთხებაა" – ერთი სატელეფონო ზარი!**

დასკვნა ასეთია: დასავლეთი ამას რომ ვერ ახერხებს, ამის გამო კი არ უნდა ვაგინოთ მას, არამედ რუსეთთან ჩახუტებული სომხეთივით უნდა მოვიქცეთ, რომელიც თავისი ხელისუფლების სომხური ჭკუით (და ამერიკელი სომხების მეშვეობით) საქართველოზე არანაკლებ დახმარებას იღებს ამერიკისგან. რუსეთის ხელისუფლების ჩვენს სულში ჩაძვრენას არავინ ითხოვს, მაგრამ იმდენი ჭკუა მაინც უნდა გვეყოს, რომ არ ვლანძღოთ და არ ვთათხოთ, მასთან საინფორმაციო თუ ნაღდ ომში გამარჯვებას არ ვეცადოთ, მის წინააღმდეგ ჩრდილო კავკასიელების ბრძოლას არ შევუწყოთ ხელი.

დღეს უკვე ფაქტის წინაშე ვდგევართ – ვერც პირდან გამოფრენილ სიტყვას დავაბრუნებთ და ვერც – გასროლილ ტყვიას. დღეს აუცილებელია გაბრაზებული რუსეთის გულის მოგება, გაბრაზებული არა 2008 წლის ომით (ამ ომისთვის იგი, გუნებაში მადლობელიცაა, გულის წადილის შესრულებაში ხომ ჩვენ დავეხმარეთ), არამედ – „ნატოს" რაკეტების დადგმას რომ ვუპირებდით ყურის ძირში და ახლაც (!) რომ ამით ვაშინებთ, ქართველი ხალხის უკითხავად სააკაშვილი რომ ეპატიჟება ამერიკას – ჩემი ბაზები შენთვის დამითმიაო.

„ნატოს" წევრობა რომ უტოპიაა, ამაზე ადრეც მითქვამს, მაგრამ თუ მაინც მიგვიღებენ და ჩვენც თუ ისე დავგლახდებით, რომ აფხაზეთ-სამაჩაბლოს გარეშე ამ წევრობას დავთანხმდებით, თუ „ნატოს" რაკეტები და თვითმფრინავები ჩავამწკრივეთ ვაზიან-მარნეულში და სამხრეთიდან ირანის სამიზნე გავხდით, ჩრდილოეთიდან კი – რუსეთის, მაშინ აფხაზეთ-სამაჩაბლო ვისღა გაახსენდება, როცა ყოველდღე ცოცხლად დამარხვაზე გვექნება საფიქრალი. ყოველდღე იმიტომ, რომ არავინ არ იცის, თუ როდის გადაწყვეტს ისრაელ-ამერიკა ირანზე თავდასხმას, ხვალ თუ ზეგ! „ნატოს" წევრობა და ჩვენი ორცეცხლშუა მოხვედრა უკვე ტრაგიკული რეალობა იქნება. ისე, ერთი მხრიდან ცეცხლიც საკმარისი იქნება ჩვენი პატარა კოხტა მინა-წყლის მიწასთან გასასწორებლად! არ გვაქვს ამის მაგალითები ერაყ-ავღანეთში თუ საქართველოს სიყვარულით სულ ბუშტები უსკდებათ და დაგვზოგავენ. რომც ვუყვარდეთ, უბრალო სამხედრო ანაბანა მოითხოვს, რომ საიდანაც მტრის თვითმფრინავები და რაკეტები ფრინდებიან (ან შეიძლება აფრინდნენ!), ის ადგილები უნდა დაიბომბოს უპირველესად და მთელი ინტენსივობით.

რუსეთის გულის მოგებას რაც შეეხება, რა თქმა უნდა, თავზე „საპნის წასმას" არ ვგულისხმობ (ასეთ თავგასაპნულებს, არც რუსეთში და არც არსად, პატივს არ სცემენ და ამ კატეგორიის ხალხს დანიშნულებისამებრ „ხმარობენ"), მე ვგულისხმობ ღირსეული ნაბიჯებით და გარკვეული შეთავაზებებით, ჩვენი ინტერესების არშემლახავი რაღაც დათმობებით ზურგით მდგარი რუსეთის ჩვენკენ პირით შემობრუნებას. რუსეთს მშვენივრად ესმის, რომ ლოიალური საქართველო მისთვის ბევრად უკეთესია, თუ მისი ინტერესები კავკასიაში არა იარაღის ძალით, არამედ კეთილმეზობლური შეთანხმებებით იქნება დაცული. ლოიალური საქართველო მისთვის უკეთესია ჩრდილო კავკასიაში პრობლემების მოგვარების კუთხითაც, და ბოლოს, რა თქმა უნდა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, თუ ჩვენ, ერთხელ და სამუდამოდ, უარს ვიტყვით „ნატოზე" და ბაზების შეთავაზებაზე, რითაც დავამტკიცებთ, რომ რუსეთთან მართლაც მეზობლობა გვინდა და არა – დაპირისპირება, მტრობა.

რუსეთთან ურთიერთობის დალაგება უპირველესად საქართველოს ხელისუფლების მოვალეობაა, და შემდეგ უკვე – სხვების და სხვების. მაგრამ, სამწუხაროდ, დღევანდელი პრეზიდენტის პირობებში ეს გამორიცხულია. ამიტომაც ჩვენი უმთავრესი და გადაუდებელი ამოცანა უნდა იყოს პრეზიდენტ-პარლამენტის ცვლა და არა – თბილისის „ზავხოზის" ფუნქციების მქონე მერისა! სხვებში და სხვებში მე ვგულისხმობ ყველა ადამიანს – ცნობილს თუ რიგითს, ვისაც კი რაიმე წვლილის შეტანა შეუძლია ამ დროულად მოსაგვარებელ პრობლემაში, დროულად, თორემ დრო, რომელიც მიფრინავს, ჩვენს სასარგებლოდ ნამდვილად არ მუშაობს. მადლობა ღმერთს, ჯერ არ განყვეტილა ის მჭიდრო კავშირები, რაც ათეული წლების განმავლობაში ყალიბდებოდა რუსებსა და ქართველებს შორის. დღესვე, ყველა დონეზე უნდა გაიშალოს საქართველოს ლობირება არა მარტო ოპოზიციის (ჭეშმარიტი თუ ცრუ) დონეზე, არამედ საქართველოში და რუსეთში (უცხოეთშიც) მოღვაწე მეცნიერების, ხელოვნების მუშაკების, ბიზნესმენების, სპორტსმენების და სხვათა შესაძლებლობების ფარგლებში. რუსეთში, ძირითადად მოსკოვში მაცხოვრებელ ასეულ ათასობით ქართველთაგან ბევრს ხომ ახლო და მეგობრული კონტაქტები აქვს რუსეთის საზოგადოების ელიტასთან და სახელისუფლებო წრეებთან, პრეზიდენტ-პრემიერ-მინისტრის ჩათვლით. ეს არის უზარმაზარი ძალა და საწინდარი იმისა, რომ საქართველოში ნორმალური ხელისუფლების და ნორმალური პრეზიდენტის პირობებში, ანუ ისეთების, რომლებიც „სარკო-სარკოსავით" „ნატო-ნატოს" არ აყვირებენ ხალხს, რუსეთთან ურთიერთობაც აეწყობა და ჩვენი პრობლემებიც, სწორედ ამ აწყობის შედეგად, ჩვენთვის სასიკეთოდ მოგვარდება!

დაბოლოს, ადვილად პასუხგასაცემი კითხვა მინდა დავსვა: **რა სჯობია, ძველი, მთლიანი საქართველო და რუსეთის ბაზა აფხაზეთში (ან აჭარაში), თუ ახალი საქართველო (აფხაზეთ-სამაჩაბლოს გარეშე) „ნატოს" ბაზებით ვაზიან-მარნეულში?** საინტერესოა რას გვიპასუხებენ (მიუკიბ-მოუკიბავად!), რას ეტყვიან ამაზე ქართველ ხალხს „თავისუფლების ინსტიტუტში" ნაკვებ-ნაპატივები და შემდეგ დაფრთიანებული (ზოგი მთავრობაში და ზოგიც – „ოპოზიციაში"!) ჭკუით დატენილი ანტირუსისტი და პრონატოისტი „მამულიშვილი" პოლიტიკოსები და დეპუტატები?

ისეთი ჭკვიანური და თავის მოსაწონებელი, აპრიორად ცნობილი თეორიული პასუხი, როგორიცაა – „ყველაფერს ყველასგან დამოუკიდებელი თავისი თავის პატრონი საქართველო სჯობს", არ მიიღება. არ მიიღება, რადგანაც ჩვენი თავის პატრონობისთვის (ამისი თავიც რომ გვქონდეს) მარტო სურვილი არ კმარა, ჩვენს გემოზე ჩვენ არავინ, პირველ რიგში, რუსეთი არ დაგვტოვებს და ამიტომ განეკუთვნება ასეთი პასუხი თეორიულ სფეროს. მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ჩვენ იძულებულნი ვართ ან მეზობელი რუსეთი ავირჩიოთ, ან – ცხრამთას იქით მყოფი ამერიკა.

სიმართლე გითხრათ, 10-12 წლის წინათ პირადად მე ამერიკას ავირჩევდი, ალბათ, უყოყმანოდ, რადგან მაშინ არც მის მსოფლიო პოლიტიკაში ვიყავი ღრმად ჩახედული და არც საკუთარ ტყავზე, ანუ საქართველოზე მქონდა იგი გამოცდილი, თითქმის ყველაფერი „იქოური" ვარდისფრად მეჩვენებოდა. ინტერნეტმა (დაილოცოს მისი მომგონი!) საშუალება მომცა ბევრი ისტორიული მოვლენა (ყველა დროისს!) როგორც რუსეთში, ისე მსოფლიოში სხვა კუთხით დამენახა და ახლებურად შემეფასებინა. ბოლო ათწლეულში დატრიალებული მოვლენები იუგოსლავია-პალესტინა-ერაყ-ავღანეთში, გნებავთ საქართველოში და, გნებავთ, თავად ამერიკაში, ჩემი, ისტორიის თეორიული ცოდნის პრაქტიკული დადასტურება გახდა და ამიტომაც, დღეს ასე პირდაღებული აღარ ვიყურები დასავლეთისკენ. მიუხედავად იმისა, რომ სხვაზე არანაკლებად ვიცი, თუ რა ხვითოც არის რუსეთი, მაინც ვფიქრობ, რუსეთთან ყოფნით ჩვენ ჩვენს ეროვნულ სახესაც უფრო ადვილად შევინარჩუნებთ და – ღირსებასაც, ამის დამადასტურებელი მრავალწლიანი ერთობლივად ცხოვრების გამოცდილება გვაქვს და ჯერჯერობით გვახსოვს კიდეც.

ამერიკასთან ჩახუტების სურვილმა (სურვილმა, თორემ მეტი საქმე არა აქვს ამერიკას გულში ჩაგვიხუტოს, გულში ისრაელის მეტს იგი არავის არ იხუტებს!) დღეისთვის არაფერი კარგი არ მოგვიტანა – არც პოლიტიკურად და არც – ეკონომიკურად: ქვეყანა კიდევ უფრო დაჩიავდა და ხალხიც უფრო გამათხოვრდა, ყველას ერთი სული აქვს როგორმე (უკანონო გზებითაც!) ამ ქვეყნიდან გაიქცეს, სადმე გადაიხვეწოს ოჯახის გამოსაკვები და თავის სარჩენი ლუკმაპურის საშოვნელად, გაუგონარი განუკითხაობის და დათესილი შიშის გამო გარბის შედარებით შეძლებულიც, მიყურადება-მოსმენა-შანტაჟი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ხოლო ჩაშვება – კეთილშობილურ საქციელად, დასავლეთის რეკომენდებული რეფორმებით დაინგრა განათლების სისტემა, გაიყიდა ყველაფერი და დავრჩით შიშველ-ტიტველნი, მევახშე ბანკების მიერ შემოტენილი კრედიტებით ისეთ კაბალაში ჩავარდა ჩვენი ხალხი, რომლიდანაც თავის დაღწევა შეუძლებელია, აღებულ ვალებს გადახდა არ უწერია, ისინი სამარადჟამოა; არნახული ნახტომი გააკეთა **გარყვნილებამ, პედერასტიამ** და **ნარკომანიამ,** მართლმადიდებლური ეკლესია სოროსის დაფინანსებული „თავისუფლების ინსტიტუტში" გამოზრდილი უჯიშო „ლიბერალების" ბინძური შეტევების ობიექტი გახდა, ქართველი ხალხი კი – ფსიქოლოგიური ექსპერიმენტებისა.

ვერაფრით ვერ დავეთანხმები ზოგიერთების მოსაზრებას, რომ ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი მხოლოდ ჩვენი პრეზიდენტის და მისი გუნდის ბრალია. არა, ეს ასე არ არის. სააკაშვილი მხოლოდ ნიჭიერი, ფრიადოსანი, უსიტყვო შემსრულებელია! თუ ხელისუფლებაა ყველაფერში დამნაშავე, მაშინ იმ უკანონობაზე, რაც ჩვენთანაა გაკეთებული, იმ ამორალურ საქციელზე, რასაც მეოთხიალის აფეთქება და „იმედის" 13 მარტის გადაცემა ჰქვია, დასავლეთი თვალს არ უნდა ხუჭავდეს და მხოლოდ დიპლომატიური წუხილით არ უნდა იფარგლებოდეს (ტელეგადაცემაში ელჩები რომ არ ყოფილიყვნენ გამოყვანილი, დარწმუნებული ვარ, ისინი, როგორც ადრე ყოფილა ბევრჯერ, შესაბამის კომენტარსაც არ გააკეთებდნენ!) და არც დამატებით მილიარდებს არ უნდა აძლევდეს. რახან ამას არ აკეთებს, ე.ი. ან მისი თანხმობით ხორციელდება რაც ხორციელდება საქართველოში ანდა სულაც – მისი „რეკომენდაციებით". სხვა ახსნა არ არსებობს!

საქართველო ნარკოტიკების სატრანზიტო ქვეყანა რომ არის, დიდი ხანია ვიცით, და ამიტომ, აღარც გვიკვირს, მაგრამ შეუძლებელია ძალიან არ გაოცდე, როცა გაიგებ **„ნატოს" პოზიციას ნარკოტიკებთან მიმართებაში,** სულ ახლახან გახმაურებულს: 2010 წლის 22 მარტის ოფიციალური ცნობით **„ნატომ" გადაჭრით უარყო რუსეთის მოწოდება ავღანეთში ოპიუმის ყაყაჩოს მინდვრების განადგურების თაობაზე"!** როცა ამას მოითხოვდა რუსეთი, იგი თავის მხრივ, ეყრდნობოდა გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებას – **„ორგანიზაციის წევრი ყველა სახელმწიფოს ვალდებულებაა გაანადგუროს ნარკოშემცველი პლანტაციები"!**

რუსეთი თვლის, რომ ამერიკის სტრატეგია ავღანეთში პირდაპირ ემუქრება რუსეთის ფედერაციის ეროვნულ უსაფრთხოებას, რამეთუ **ავღანეთის ნარკოტიკების 35% რუსეთში საღდება, და ამის გამო, ყოველწლიურად, 30 ათასი მისი მოქალაქე იღუპება, ხოლო თვით ავღანეთში – 100 ათასი! ჰეროინის, რომლის მსოფლიო ბრუნვის 92%(!) ავღანეთზე მოდის, გადამეტებული დოზისგან 50-ჯერ მეტი ადამიანი იღუპება „ნატოს" მისიაში მონაწილე 40 ქვეყანაში ყოველწლიურად, ვიდრე ამ ქვეყნების სამხედრო დანაკარგები!**

მიუხედავად ასეთი საგანგაშო სტატისტიკური მონაცემებისა, „ნატო" იძლევა ისეთ ახსნას (თუ რატომ ამბობს იგი უარს ყაყაჩოს მინდვრების განადგურებაზე), რომ არ შეიძლება საღად მოაზროვნე ადამიანი (ალბათ, ნარკომანიც) სახტად არ დარჩეს. აი, როგორია „ნატოს" პრეს-ატაშეს ჯეიმს აპატურაის პასუხი: **„ჩვენ არ შეგვიძლია დავუშვათ, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყნის მოსახლეობა არსებობის საშუალებების გარეშე დავტოვოთ"!**

ათი წელია ეომებიან, „წესრიგს" უმყარებენ და საარსებოდ ყაყაჩოს უტოვებენ?! რა, იჭმევა ყაყაჩო, ბრინჯია თუ ხორბალი? მართლა საარსებო და ერთადერთ წყაროს – ზეთისხილის ასწლოვან ხეებს, ათასობით ძირს უმოწყალოდ უჩეხენ პალესტინელებს, ავღანეთში კი მთელი მსოფლიოსთვის გამიზნულ საწამლავის მინდვრებს არ ეკარებიან!!! ნარკოტიკი საარსებო საშუალებად მხოლოდ მას შემდეგ იქცევა, რაც რუსეთში, ევროპაში (საქართველოს ჩათვლით) და თვით ამერიკაში მილიონობით ადამიანს გააუბედურებს და ასეულობით ათასს კიდევ საიქიოს გაისტუმრებს! ეს ხომ ორჯერ ორივითაა და „ნატომაც" ეს ხუთი თითივით იცის. მაშ რაშია საქმე? საქმე, ჩემო კარგო ხალხო, დიდ ფულშია – ასეულობით მილიარდ ნარკოდოლარში (აბა ხრიოკ ავღანეთში სხვა არაფერია, არც ნავთობი – ერაყივით; ბინ ლადენს კი, რომელსაც ცხრა წელია ვერ მიაგნეს, ალბათ, ვერც ვერასოდეს მიაგნებენ – როგორც ბევრი წყარო იუწყება, იგი კარგა ხანია, ჯერ კიდევ 2001 წლის დეკემბერში „გასულა გაღმა"), და კიდევ იმაში, რისი განხორციელებაც კარგა ხნის დაწყებულია და რასაც სახელად დეპოპულაცია ჰქვია!

ამერიკის „პატრონატით" მოპოვებული „მიღწევების" სრული ფაქტობრივი ჩამოთვლა, პრაქტიკულად, შეუსრულებელი ამოცანაა – „ვთვალე, ვთვალე, ვერ დავთვალე", მაგრამ ერთი მრავლისმეტყველი ფაქტი აუცილებლად უნდა ითქვას: 70 წელი რუსის ჯარი იდგა საქართველოში (სად არ ჰქონდათ ბაზები!), მაგრამ არ მახსოვს და არც წამიკითხავს, რომ ამ ხნის მანძილზე ოკუპანტ რუსის ჯარისკაცს იმის მსგავსი რამ გაებედოს, რაც ორ სტუმრად მყოფ მეგობარ ამერიკელ სამხედროს, როცა ქართველი ბიჭების შენიშვნა იუკადრისეს და მათ სასტიკად გაუსწორდნენ. როგორც რუსები ამბობენ: „ეტო ტოლკო ცვეტოჩკი", რადგანაც როცა სახელმწიფო თავის მოქალაქეებს ვერ იცავს ამერიკის შიშით, როცა იქით უხდის ბოდიშს ამერიკელს და როცა ამ ამერიკელს ქალაქში იარაღის ტარების უფლებას უკანონებს, აი, „იაგოდკის" მაშინ ვნახავთ, როცა (თუ) ამერიკელი ჯარისკაცები მოგვიმრავლდებიან ჩვენს მიწაზე!

ნერილის დასაწყისში ჩამოთვლილ პრობლემებთან დაკავშირებით განსახილველ მასალას რა გამოლევს, მაგრამ ვფიქრობ, მოყვანილიც სავსებით საკმარისია იმისთვის, რათა დაკვირვებულმა მკითხველმა თავად გასცეს სწორი პასუხი კითხვას – გულით სურს კი დასავლეთს პრობლემების მოგვარება?

იაკოგ ლეჟავა.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 63-68.

◎ გლობუსი

იქნებ ყველა გზა გვეცალა?

არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ მსოფლიო მშვიდობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პრაღაში ხელმოწერილ ხელშეკრულებას სტრატეგიული, დამკვრელური ბირთვული შეიარაღების შემცირებასთან დაკავშირებით. საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური ბირთვული რაკეტებისა და მათი მატარებლების ორი მესამედით შემცირება, მკაცრი კონტროლის დაწესება, უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია. ცხადია, დარჩენილი ბირთვული პოტენციალი (1550 რაკეტა თითო მხარეზე) არათუ საკმარისია, არამედ ჭარბიცაა მსოფლიოს არაერთჯერადი განადგურებისთვის, მაგრამ ორი ბირთვული გიგანტის სვლა ბირთვული განიარაღებისაკენ დასაფასებელია.

გარდა იმისა, რომ ხელშეკრულება სამხედრო თვალსაზრისით უნიკალურია, მას სხვა დატვირთვაც აქვს – ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ფაქტორის შექმნა. თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ ობამა-მედვედევის ერთწლიან ურთიერთობას, აუცილებლად დავინახავთ პროგრესს, არა მარტო განიარაღების, არამედ სხვა სფეროშიც. მაგალითად ბიზნესში. რუსული კომპანიები ფეხს იკიდებენ ამერიკულ ბაზარზე, მიუხედავად გარკვეული სიძნელეებისა. დაახლოებას ხელს უწყობს ობამას მოსკოვში ვიზიტის დროს შექმნილი სამუშაო ჯგუფების ამოქმედებაც. თუმცა დასაძლევი ბარიერიც არაერთია, მათ შორის ისეთები, როგორებიცაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესასვლელად ამერიკის მხრიდან თანხმობის გაცემა, ამერიკელი კონგრესმენების – ჯეკსონ-უენიკის მიერ ცივი ომის პერიოდში დაწესებული სავაჭრო შეზღუდვა და სხვა. ამ თემებზე გამახვილდა ყურადღება პუტინ-კლინტონის მოსკოვის შეხვედრაზე.

ქვეყნებს შორის თანამშრომლობისას სულაც არ არის გამორიცხული პაექრობა, რასაც მოკავშირეებშიც აქვს ადგილი და რა გასაკვირი უნდა იყოს, რომ ანალოგიური გუშინდელ იდეოლოგიურ მტრებში შეინიშნებოდეს? ამაზე საკუთარი პოლიტიკის აგება, განსაკუთრებით „კაიფი“, რასაც სისტემატურად აქვს ადგილი საქართველოში, პრიმიტივიზმის მაჩვენებელია. პრიმიტივიზმი მხოლოდ მხატვრობაშია მისაღები, პოლიტიკაში კი რა მოგახსენოთ. პრიმიტივიზმმა წალეკა ქართული მედია. მას ფართოდ აქვს გადგმული ფესვი საზოგადოებაში, პოლიტიკაში. პრიმიტივიზმია, როდესაც „რუსთავი-2“-ის წამყვანი იტყვის – მედვედევმა უპუტინოდ პუტინის მთავრობა დაიბარა და გაკიცხა ანუ ამით წამყვანმა გამოხატა არხის უარყოფითი დამოკიდებულება ქართველთა ნომერ პირველი მტრისადმი, ნომერ მეორე – მედვედევი დაინდო. არადა პუტინიცა და მისი მთავრობაც პრეზიდენტისაა. ეს უმნიშვნელო მაგალითი ზღვაში წვეთია სხვასთან შედარებით, და როდესაც ამ უმნიშვნელოში ესოდენ დიდ ენერგიას, თანაც საეჭვოს აქსოვ, ვერასდროს გახდები 21-ე საუკუნის ქვეყანა. სხვა ქვეყნის პოლიტიკოსთა შორის დაპირისპირებაზე აგებული საკუთარი ბედნიერებაც პრიმიტივიზმია.

რუსეთთან ურთიერთობა აქილევსის ქუსლად არის ქცეული საქართველოსთვის. გაუცხოებაში ორივეს მიუძღვის ბრალი, მაგრამ ლომის წილი – საქართველოს. იქითა მხარემ დღემდე ვერ გაიგო, რა უნდოდა ან რა უნდა საქართველოს. ის, რომ შევარდნაძე საკუთარი ჩაოხრებული საქმის მოგვარებას (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი) რუსეთს სთხოვდა, პრიმიტიზმის პილოტაჟი იყო, ხოლო უმაღლესი პილოტაჟი სააკაშვილის შეთავაზება გახლდათ – დავჯდეთ და მოვილაპარაკოთო. რაზეო, – იკითხა კრემლმა. რაზეო და ყველაფერზეო, მიუგო საერთაშორისო საკითხებში გაუთვითცნობიერებელმა სააკაშვილმა. სჩანდა ის და მისი „დიპლომატია“ ნაცთა ბანაკში ლაყბობას ურევდა საერთაშორისო მოლაპარაკებას, მით უმეტეს მსოფლიოს ისეთ გიგანტთან, რომლის მუშაობის გრაფიკი წამებშია გათვლილი. ამიტომაც ორი მხარის იშვიათმა მოლაპარაკებამ უშედეგოდ ჩაიარა. **მოსკოვმა დაინახა ქართული მხარის არასერიოზულობა, დანაპირების შეუსრულებლობა. მაგალითად საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანაც კმარა. მაშინ ზურაბიშვილლავროვმა მიაღწიეს შეთანხმებას, ოღონდ ერთის გათვალისწინებით – საქართველოში ორმხრივი ანტიტერორისტული ბაზის შექმნით. საქართველომ დანაპირები არ შეასრულა ანუ ჩვენებურად „გადაადგო“, რუსეთი. დიდის „გადაგდება“ ისტორიაში ცუდად არის დაცდილი. აგვიხდა კიდევაც.**

ინფორმაციის ეპოქაში იმარჯვებს ის, ვისაც პირველს აქვს მისი მიღების შესაძლებლობა. დედამიწაზე იშვიათია ქვეყანა, რომელიც დემოკრატიას იჩემებს და თან საკუთარ ხალხს ინფორმაციის მიღებას უკრძალავს. ასეთი საქართველოა. 2008 წლის აგვისტოდან საქართველოში აკრძალულია საინფორმაციო გადაცემის მატარებელი ყველა რუსული ტელეარხი, და არა მარტო რუსული, არამედ ევრონიუსიც, როგორც ჩანს, ასე მივდივართ ევროპისკენ. **საქართველოს ხელისუფალთა დამოკიდებულება ევროკავშირთან რომ ნეგატიურია, ნათლად გამოჩნდა მერაბიშვილის ინტერვიუდან გაზეთ „კომერსანტისადმი“. ხელისუფლების ამოცანა არის – საკუთარი ხალხის ჭურში დატოვება. გასაკვირი არაფერია, გასაკვირია თვით ხალხის სურვილი იყო ჭურში. არაერთხელ გამიგია – გამორთეს? ახია მაგათზეო, ანუ რუსეთზე. ხალხი ვერაფრით მიმხვდარა, რომ გამორთვით მან უფრო მეტი დაკარგა, ვიდრე რუსეთმა. საზოგადოებას ვერ გაუგია, რომ „რუსთავების“ მიერ მოწოდებული რუსული ამბები ისეთივე ფალსიფიცირებულია, როგორც საქართველოში ჩატარებული არჩევნები. ჭურში მყოფი საზოგადოების მოტყუება იოლია და იფრქვევა ქართული ტელეარხებიდან ათასგვარი ვერსიები რუსეთ-აფხაზეთის დაპირისპირების შესახებ, რუსეთში ანტისამთავრობო გამოსვლების თაობაზე, რუსეთის ეკონომიკის დაქცევაზე, საქართველოსთან მიმართებაში დასავლეთის მხრიდან რუსეთზე ზეწოლის გაძლიერებაზე და სხვა. არადა სინამდვილე სხვაა.**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველთა მხრიდან რუსეთის განქიქებაში ე. წ. რუს ლიბერალებსაც შეაქვთ წვლილი. ორივენი დიდი ინტერესით ელოდნენ მარტის შუა რიცხვებში რუსეთში ანტისახელისუფლებო საყოველთაო მიტინგებს. არ გაუმართლდათ. თითზე ჩამოსათვლელმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა გამოსვლებში, რაც ექსპერტთა აზრით, ხელისუფალთა მხრიდან ანტიკრიზისული გეგმის ამოქმედებით არის გამოწვეული. გადავხედოთ სტატისტიკას – თუ 2009 წელს რუსეთში 964 საპროტესტო აქციას ჰქონდა ადგილი, წელს 683-ია. შესაბამისად შემცირდა მათში მონაწილეთა რაოდენობა 125 220-დან 81.564-მდე. შემცირდა პროტესტანტი რეგიონების რიცხვიც 76-დან 53-მდე. საერთო ჯამში საპროტესტო აქციები 30 პროცენტით შემცირდა. ოპოზიცია მოუთმელად ელოდა კალინინგრადის გამოსვლებს, მაგრამ გუბერნატორმა ბოოსმა იმარჯვა – მან პირდაპირი სატელევიზიო შეხვედრა შესთავაზა ოპოზიციას, თან ნაკლოვანებათა ოპერატიული განხილვა-გადაწყვეტა. ქართულმა საზოგადოებამ ცოტა რამ თუ იცის მოსკოვთან, სკოლკოვოში 307 ჰექტარ მიწაზე მეცნიერთა ქალაქის გაშენების თაობაზე. ქალაქი პირველ მოსახლეებს 3-7 წლის განმავლობაში მიიღებს. მიზანი შემდეგია – ინტერნაციონალური სამეცნიერო ქალაქის შექმნა, რომელშიც ადგილობრივთან ერთად უცხოელებიც იმუშავებენ, მათ შორის – 3-4 ნობელის პრემიის ლაურეატიც. ქალაქში შტაბ-ბინა ექნებათ მსოფლიოს უმსხვილეს კომპანიებს. საბჭოთა კავშირის დაშლამ უპირველესად მძიმედ რუსეთზე იმოქმედა, განსაკუთრებით მეცნიერებაზე. არაოფიციალური მონაცემებით აშშ-ში 100 000 რუსი მეცნიერი მუშაობს. აღნიშნული ცენტრის შექმნა მაღალი ანაზღაურებით, გადინებული კადრების დაბრუნების საწინდარი გახდება.

ზემოთ ვახსენე ამერიკაში მოქმედი რუსული ბიზნესი, ერთ-ერთი „ლუკოილია“, რომელსაც ბენზინგასამართი სადგურების ფართო ქსელი აქვს შექმნილი იქ, გარდა ამისა ის ვაჭრობს ნავთობპროდუქტებითაც. ცნობილია ორი ქვეყნის თანამშრომლობა კოსმოსის ათვისებაშიც. სულ ახლახანს გახდა ცნობილი, რომ რუსული ავიამშენებლობის კორპორაცია მონაწილეობას მიიღებს პენტაგონისათვის საწვავგასამართი თვითმფრინავების ილ-98 მიწოდების ტენდერში. გამარჯვების შემთხვევაში მას შანსი ეძლევა 100-მილიარდიანი შეკვეთის მიღების. სულ ახლახანს რუსეთმა სარფიანი სამხედრო-ენერგეტიკული ხელშეკრულებები გააფორმა ინდოეთთან და ვენესუელასთან. **ცნობისათვის იმასაც მოგახსენებთ, რომ ჩვენ მიერ არაერთხელ დაწიხლულმა ლუკაშენკომ ბრაზილია-ვენესუელაში ვიზიტის დროს ბელორუსიისათვის სასარგებლო ხელშეკრულებებს მოაწერა ხელი. ბელორუსია ვენესუელას მიჰყიდის საგზაო-სამშენებლო ტექნიკას, ცნობილი სატვირთო ავტომანქანებს „ბელაზს“, „მაზს“, ააშენებს აგურის ქარხანას, აგრეთვე საცხოვრებელ და სოციალურ ობიექტებს, აგრარულ და სასოფლო-სამეურნეო კომპლექსებს. უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ბელორუსიაში ისწავლიან ვენესუელელი სტუდენტები და სპეციალისტები და ამ საქმიდან ბელორუსია 696 000 დოლარს მიიღებს. მჭიდრო თანამშრომლობაა ვენესუელის ნავთობის მოპოვება-გასაღების დარგშიც. რამდენი ერთი ჩამოვთვალო. მოყვანილი ფაქტები ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ დსთ-შიც რაღაცაზე ფიქრობენ და ამ „რაღაცას“ დღვანდელი და ხვალინდელი დღე ჰქვია. ჩვენ? ის, რომ საქართველოში საბჭოეთის დროს არსებული არც ერთი მძიმე მრეწველობის, საერთოდ მრეწველობის ობიექტი არ მუშაობს – არ ახალია. დღევანდელი კვერცხი ვამჯობინეთ ხვალინდელ ქათამს და უნიკალური ქარხნები კაპიკებად, ჯართად გავყიდეთ. ბელორუსიას ეს არ გაუკეთებია. საბჭოთა საქართველო 70-მდე საკუთარი დასახელების პროდუქციას აგზავნიდა საექსპორტოდ. დღეს ხარისხიანი ტუალეტის ქაღალდი ვერ დაგვიმზადებია, ხოლო რაც შეეხება მეცნიერებას – თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე, ერთ დროს იმპოზანტური ფიზიკის ინსტიტუტის შენობის გაპარტახებული ფასადიც მეტყველებს. თავის სატელევიზიო გამოსვლაში მეცნიერმა პაპავამ ბრძანა – ქარხნები იმიტომ გაუქმდა, რომ რუსეთთან ურთიერთობა შეწყდაო. კეთილი, მაგრამ რატომ შეწყდა? ან რატომ არ გაწყვიტეს სხვებმა, თუნდაც ბელორუსია-უკრაინამ რუსეთთან ურთიერთობა? ალბათ, იმიტომ, იქაურები ჩვენთან შედარებით ქარაფშუტულად არ უდგებიან დღვანდელ ან ხვალინდელ დღეს. დსთ-სთან ურთიერთობა რას მიქვია, როდესაც ამერიკასთან ვურთიერთობთო, რიხით ვაცხადებთ, მაგრამ ერთი წუთითაც არ ვსვამთ შეკითხვას – ის ითანამშრომლებს ჩვენთან? ან რის შეთავაზება შეგვიძლია ჩვენ, არაფრის მკეთებლებს, გარდა საზარბაზნე ხორცისა და სამხედრო პლაცდარმად გამოსაყენებელი ტერიტორიისა?** საქმიან თანამშრომლობისთვის ამერიკა თავს არასოდეს გაგვიყადრებს, ცხადია, ჩვენი „წარმოების“ პოტენციალიდან და ხარისხიდან გამომდინარე. დაგვიანებულად მეჩვენება, მაგრამ მაინც ცდა ბედის მონახევრეა – იქნებ თავი დაგვენებებინა რუსეთის ლანძღვას, მასთან მიშნის მოგებით ლაპარაკს და რაც მთავარია რუსეთის დაშლაზე ოცნებას და გვეცადა მასთან კავშირების აღდგენა. დღეს ჯერაც არიან ადამიანები რუსეთში, ვისაც ნოსტალგია აქვს მუავე ქართულ ღვინოზე, სოდიან, დაგაზულ „ბორჯომზე“, „ჩახოხბილზე“ – როგორც ისინი ამბობენ, აქედან გამომდინარე, იქნებ გადაგვედგა შერიგების ნაბიჯი, თორემ ხვალ ანალოგიურის გაკეთება გაჭირდება. ამერიკა-ინგლის-შვეიცარიის ძვირადღირებულ სასწავლებლებში განათლებამიღებულ რუსობასთან, არაფრის გამკეთებელ, არაფრის შემძლეებს თანაბარი ურთიერთობის არავითარი შანსი არ გვექნება. ის რუსეთიც ისეთივე პრაგმატული აზროვნებისა გახდება, როგორც დღევანდელი ამერიკა – დაცლილი, რომანტიზმისა და სულიერებისაგან.

ჰამლეტ ჭიჰაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ „შენ კირო ჩვენთა ძვათა და კირთა!..“

გადავარჩინოთ დედაენა!

გავიდა 32 წელი მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა თაოსნობით ადრე არნახული დემონსტრაცია მოეწყო ქართული ენის დასაცავად.

მას საფრთხე შეექმნა და ხალხმა ის დაიცვა.

დღეს კიდევ უფრო დიდი საფრთხის წინაშე დგას, მაგრამ ხალხი დამუნჯებულია.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ განათლების სამინისტროს თანამშრომლებს ახალი მინისტრი კახა ლომაია წარუდგინა, განაცხადა: **„განათლების მიზანია, რომ სკოლა დამთავრებულმა კომპიუტერი და უცხო ენა იცოდესო“.**

უფრო ადრე იგივე ტელეეკრანიდან ეკონომიკის მინისტრმა გვამცნო, ხოლო გიგი თევზაძემ განათლების რეფორმის მთავარ მიზნად გამოაცხადა: **„საქართველოში სახელმწიფო ენა ინგლისური უნდა გახდესო“!.**

დღეს უცხოური ენა სკოლაშიც ბატონობს და ის, თანდათან, მეთოდურად ავიწროვებს ქართულ ენას.

ამას წინათ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ **პირველკლასელებს დედა ენის ნაცვლად კომპიუტერებს აჩუქებს და დაპირდა, რომ 1000 უცხოელ „პედაგოგს“ ჩამოიყვანდა სკოლებში ინგლისური ენის უკეთ შესასწავლად.**

დღეს მთავარი უცხოური ენა და კომპიუტერი გახადეს და ახალგაზრდების მთელი ენერგია თურმე ამ წყვილის ათვისებას უნდა ემსახურებოდეს!

დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს ქართულ ენას მასში უცხოური სიტყვების გაბატონებით. სიტყვა „მესიჯი“ და მისთანანი ისმის არა მარტო ენაწყლიანი პოლიტიკოსების ბაგეებიდან, არამედ ჟურნალისტების ტელეგადაცემებიდან. ხოლო როცა ვიღაც პოეტი გაზეთის ფურცლებიდან იუწყება, რომ მისთვის სიტყვა „შეჩემა“ უფრი გასაგები და მისაღებია, ვიდრე „გეთაყვა“, იქ საერთოდ რაზე უნდა ისაუბრო? ან, რა აქვს საერთო ამ ორ სიტყვას? ან კი შეიძლება ის „პოეტი“ პოეტი იყოს?

ახლა კი, როდესაც პირველკლასელებს „თამაშების სკივრს“ – კომპიუტერებს დაურიგებენ, ისინი ქართულად წერასაც გადაეჩვევიან და აზროვნებასაც. ქართული სკოლიდანაც განიდევნება და ყოველდღიური ყოფიდანაც.

ამსტერდამში წიგნების მაღაზია მოვინახულე და ჰოლანდიურ ენაზე მხოლოდ საბავშვო ლიტერატურა შემხვდა. ძირითადად ინგლისურ და გერმანულ ენაზე გამოცემული წიგნები იყო.

იხ. 6 გვ.

◎ რეპლიკა

„კომპიუტერი ბავშვის ...მტერია?“

„საქართველოს რესპუბლიკის“ ამა წლის 8 აპრილის ნომერში ერთი მწარე და კრიტიკული წერილი დაიბეჭდა („ვაჰ, თუ არის კომპიუტერი ყველა ჩვენი ბავშვის მტერი...“), რომელსაც ბატონი ლუკა გორგაძე აწერს ხელს. ამ ავტორის წერილი სხვა დროსაც წამიკითხავს, მაგრამ ჩვენი „გააფთრებული“ დემოკრატიის ფონზე მათზე გამოხმაურება, ცხადია, არც კი მიფიქრია.

ეს წურილი ეხება წლეულს, 6 აპრილს ქუთაისში გამართულ საქართველოს მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლას. ბატონი ლუკა წერილში პრეზიდენტს „მისი“ ქართულისა და „დალაგებული“ საუბრისთვის კუთვნილს „მიუზღავს“. თუ მაინცდამაინც ძალიან ჩავაცივდებით, ამ უკანასკნელზე ეს ნამდვილად ახია. მაგრამ, ეგ არაფერი. სხვა დროს და უამრავი სხვა ავტორისგანაც პრეზიდენტის მისამართით „მიძღვნილი“ ისეთი ეპითეტები წამიკითხავს, წკვარამ ღამეში მორატრატე ტაბაკონის როკაპსაც რომ გაუკვირდება.

მე სხვა რამემ შემაშფოთა: ბატონი ლუკას მიერ ინგლისური ენისა და კომპიუტერის (ამ შემთხვევაში, საბავშვო-სასწავლო კომპიუტერის) მისამართით გამოცხადებულმა აშკარა ომმა!

ლაპარაკია იმაზე, რომ სექტემბრიდან პირველკლასელი (ე. ი. 6–7 წლის) ბავშვები თურმე პრეზიდენტისგან საჩუქრად მიიღებენ საბავშვო-სასკოლო ინდივიდუალურ კომპიუტერს, რომელშიც ჩატვირთული იქნება პირველი – 4-5 წლის საგნების სასწავლო პროგრამა. პრეზიდენტს იქვე აუხსნია, რომ ელექტრონული ტექნიკის ეს თანამედროვე საოცრება თურმე ძალზე მსუბუქია, არ ტყდება და წყალში არ იძირება. ამასთან, ბავშვებს თურმე პირველივე კლასიდან უნდა დააწყებინონ ინგლისურის სწავლაც და ა.შ და ა.შ. ერთი სიტყვით, როგორც ბატონი ლუკა ბრძანებს, ხელისუფლება თურმე „კომპიუტრულ და ლინგვისტურ რევოლუციას აპირებს.“

ამის შემდეგ ბატონი ლუკა „თავს ნებას აძლევს გადმოსცეს ბერიკაცული და ცუღლუტური ფიქრები (კომენტარები), რომელიც მას პრეზიდენტის ამ გამოსვლამ აღუძრა“.

ბატონი ლუკას კომენტარებიდან აშკარად ისე გამოდის, რომ „2-3 წლის ღლაპმა თუ კომპიუტერი იცის, ეს სულაც არ არის მოსაწონი და სასიკეთო“ (არადა, ლაპარაკია სასკოლო ასაკის ბავშვებზე) და „რადგან კომპიუტერი წიგნებს ვერ ჩაანაცვლებს, საერთოდ ჯობს ბავშვებმა წიგნებიდან ისწავლონ და ამიტომ პირველკლასელთათვის „საპირველსექტემბრო საპრეზიდენტო წიგნების კომპლექსი „აღვუდგინოთ“–ო...



რაც შეეხება საკითხის არსს, დაწყებითი კლასების მოსწავლეთა აღჭურვას სასწავლო კომპიუტერებით და სასწავლო წიგნი-სახელმძღვანელოების ნაცვლად კომპიუტერული პროგრამებით უზრუნველყოფას, ეს, ბატონო ლუკა, ელექტრონული ტექნიკის თანამედროვე მიღწევათა საკაცობრიო შედეგია და მას ვერც ერთი განვითარებული სახელმწიფო თავიდან ვერ აიცილებს. და თუ აიცილებს, თავსაც გასწირავს ჩამორჩენილობისთვის. ასეთ პირობებში ჩვენ, მცირე ერმა, იმაზე უნდა ვიზრუნოთ, ასეთი ტექნიკური სიახლის ათვისების კვალდაკვალ, როგორმე ჩვენი დიდი და ძველი კულტურა და, როგორც იტყვიან, „მეობა“ შევინარჩუნოთ.

ის, რაც ამ წლის სექტემბრიდან პირველკლასელთათვის მოხდება, შემდეგ უფრო მაღალ კლასებში გავრცელდება, მოგვიანებით კი უმაღლეს სასწავლებლებშიც შეაბიჯებს. ჩვენ მოგვწონს თუ არა, ეს გარდუვალი პროცესია.

ბატონო ლუკა, არ ვიცი, მიაქციეთ თუ არა ყურადღება ერთ წერილს, რომელიც ამ წლის 16 იანვარს გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მე-9 ნომერში სათაურით „ელექტრონიკა, „თაობა ინდიგო“ და... ანუ როგორი იქნება წიგნი 10-15 წლის შემდეგ“. ეს წერილი მე მოვამზადე ინტერნეტის მასალებით და კომენტარებიც დავურთე.

წერილში ერთგან იმაზეა საუბარი, რომ ამ პროცესში გარდამტეხი მომენტი უნდა გახდეს ელექტრონულ წიგნზე, პირველ რიგში, სკოლების მასობრივი გადასვლა. ამ ტექნოლოგიის გამოყენებით სახელმძღვანელოების ბეჭდვის და გავრცელების საქმეში სახელმწიფო უზარმაზარ სახსრებს დაზოგავს. შობფეებიც განთავისუფლდებიან ზურგზე აკიდებული წიგნებითა და რვეულებით სავსე მძიმე ჩანთების ტარებისაგან. ელექტრონული წიგნი მათ შეეძლებათ გამოიყენონ 3-5 წელი. ამასთან, ინტერნეტის მეშვეობით შესაძლებელი გახდება ყოველ წელს კომპიუტერში ახალი სახელმძღვანელოების, მეთოდური მასალების, ლექსიკონების, ენციკლოპედიების, ტესტების და სხვ. მასალის ჩატვირთვა.

მეცნიერების აზრით, უახლოეს 10-15 წელიწადში ელექტრონულ წიგნად ქაღალდის წიგნის გარდაქმნის პერსპექტივა საზოგადოების ერთ ნაწილს, ისევე როგორც თქვენ, ბატონო ლუკა, მაინცდამაინც არ მოსწონს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ელექტრონული წიგნისა და კომპიუტერული ტექნიკის მიმართ ერთგვარი შიში უპირატესად უფროსი თაობის ადამიანების უკვე ჩამოყალიბებული ჩვეულება-შეხედულებების შედეგია. ნორჩ და ახალგაზრდა თაობას კი ასეთი სტერეოტიპები არ გააჩნია. დღეს უამრავ ოჯახში კომპიუტერთან და მობილურ ტელეფონთან მოთამაშე პატარა ბავშვები და ყმაწვილები ამ ურთულესი ტექნიკის ათვისებასა და გამოყენებაში საოცარ გონებამახვილობას ავლენენ. და ეს თაობა, რომელიც არსებითად 80-90-იანი წლებიდან გაჩნდა, თანამედროვე ელექტრონულმა ტექნიკამ შეჰქმნა! 10-15 წლის შემდეგ (შესაძლოა, უფრო ადრეც), როდესაც პრაქტიკაში ელექტრონული წიგნი დამკვიდრდება, ამ თაობას ასეთი სიახლის მიმართ არავითარი უხერხული კითხვები არ გაუჩნდება.

დიახ, ადამიანის ინტელექტი და, მასთან ერთად, ტექნიკური პროგრესი საოცრად სწრაფი ნაბიჯებით მიიწევს წინ და მას ახალი თაობა, ბატონო ლუკა, ჩვენს დაუკითხავად აუწყობს ფეხს. ამ პროცესის შეჩერება ამაოა.

ამირან გაბისონია

◎ „შენ კირო ჩვენთა ძვათა და კირთა!..“

(მეხუთე ბვერდიდან)

გადავარჩინოთ დედაენა!

ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჰოლანდიელი მწერალი გადაშენდა და ამ ენაზე ლექსიც აღარ იწერებოდა. ჰოლანდიური ენა სწორედ საბაზრო ეკონომიკამ განდევნა ცხოვრებიდან და ისინიც, ალბათ, ახლო მომავალში შოტლანდიელებივით დაკარგავენ საკუთარ ენას.

ჩვენც, ცხადია, ეს მოგველის, თუ ხალხმა საკუთარი ენა არ დაიცვა.

1992 წელს ამერიკელ მისიონერებთან ერთად „მომავლის სკოლა“ გავხსენი, სადაც სწორედ ამერიკელი მასწავლებლები მყავდა მოწვეული. აღმოჩნდა, რომ ინგლისური ენის პროგრამა მხოლოდ ბიბლიური თემებით შემოიფარგლება.

„კარგია, რომ ბიბლიური მოთხრობები ასე კარგადაა წარმოდგენილი, მაგრამ რატომ არ გაქვთ საერო მოთხრობებიც და ლექსებიც?“ – ვკითხე უცხოელ მასწავლებელს – „რატომ არ არის, მაგალითად, მარკ ტვენის საბავშვო მოთხრობები?“

„მარკ ტვენი? ჩვენ ასეთ მწერალს არ ვიცნობთ“, – მიპასუხა დაწყებითი კლასის მასწავლებელმა.

„არც ტომ სოიერი ან გეკლბერი ფინი გაგიგიათ?“ – ვკითხე გაოცებულმა.

„არც მაგ მწერლებს ვიცნობთ“, – ამაყად განაცხადა მასწავლებელმა.

ჩქარა დავადგინე, რომ ისინი იეღოვას სექტას განეკუთვნებოდნენ, დავაპირე მათი გაგდება, მაგრამ ვერ მოვახერხე და ის სკოლა მივატოვე.

ეს სკოლა დღემდე არსებობს. ბავშვები ინგლისურსაც ეუფლებიან, მაგრამ ქართველები ვერ იქნებიან. სხვათა მომსახურებისთვის ენა კარგად ეცოდინებათ, ამერიკაშიც ადვილად გაეგზავრებიან და რაიმე საქმიანობასაც შესძლებენ ლათინოსებისა და ზანგების დონეზე.

უცხო ენის ცოდნა, რა თქმა უნდა კარგია, მაგრამ მხოლოდ ქართულის შემდეგ. ის ენა დამხმარე უნდა იყოს, რათა მაღალი დონის ექიმი, ინჟინერი, მეცნიერი გახდე. მხოლოდ დამხმარე და არა ძირითადი.

მართალია, ჩემი მეცნიერული სტატიების უმრავლესობა ინგლისურ და რუსულ ენაზე მაქვს გამოქვეყნებული, მაგრამ ქართულ ენაზე სტატიების გამოქვეყნება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო როგორც ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დახვეწის, ისე მომიჯნავე დარგებში მოღვაწე ქართველ კოლეგებთან სამეცნიერო კონტაქტების დამყარების მიზნით. ამავე დროს, ქართულ ენაზე. თუ ვინმემ მაღალი დონის სტატია დაწერა, მის აქ, თუნდაც ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებასაც აზრი არა აქვს. ასევე, უაზროა ამ ჟურნალების სამეცნიერო ბიბლიოთეკებში გადაგზავნა, რადგან სამეცნიერო ინსტიტუტები მეცნიერების სრულიად დარკვეულ მიმართულებას ავითარებს და ჟურნალი, რომელიც მეცნიერების ყველა დარგს მოიცავს, კონკრეტული სამეცნიერო ცენტრისთვის „არარენტაბელური“ ხდება. რატომ გამოიწერს, ვთქვათ, ფიზიკური პროფილის სამეცნიერო ინსტიტუტი „მოამბეს“, სადაც ფიზიკის დარგში სულ ორიოდე სტატიაა გამოქვეყნებული.

ჩვენთან კი, სამსახურში მიღებისას, მხოლოდ უცხო ენისა და კომპიუტერის ცოდნას ითხოვენ დ სულ არ აინტერესებს არც მათი განათლება სპეციალობაში და არც მათი აზროვნების უნარი.

ქართული სახელმძღვანელოების მომავალი იმდენად აღარ აინტერესებთ, რომ გამომცემლობა „განათლება“ დაიხურა.

ადრე სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურა ძირითადად რუსულ ენაზე იწერებოდა და საკავშირო პრესაში ქვეყნდებოდა. ახლა კი მოთხოვნა შეიცვალა და ლიდერობა ინგლისურმა ჩაიგდო ხელში ისე, რომ საქართველოში არსებული სამეცნიერო ჟურნალების რედაქციები ინგლისურ ტექსტს ითხოვენ. მისი თარგმნა კი ისედაც გაღატაკებულ მეცნიერს საკმაოდ ძვირი უჯდება. საზღვარგარეთ გაგზავნა კიდევ უფრო ძვირია.

დღეს ქართულ ენაზე სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება პრაქტიკულად იკრძალება, რადგან მას თურმე ამერიკელი ვერ კითხულობს! წასაკითხი კი იმ ამერიკელს იმდენი აქვს, რომ აქ გამოქვეყნებულ „ჩიქორთულ“ ინგლისურს არც წაიკითხავს. ეს მხოლოდ დროისა და ქაღალდის ყოვლად უმიზნოდ ხარჯვაა.

ცხადია, მნიშვნელოვანია სპეციალური სერიების გამოცემა ინგლისურ ენაზე, როცა მას საერთაშორისო სტატუსი აქვს და მასში უცხოელთა შრომებიც იბეჭდება, მაგრამ ასეთი ჟურნალები ძალზე ცოტაა.

ეროვნული აკადემიის ერთადერთი სამეცნიერო ჟურნალი „მოამბე“ ადრე ყოველთვიური იყო, ახლა კი მხოლოდ 3 ნომერი გამოვა წლის განმავლობაში და ისიც მხოლოდ ინგლისურ

გადავარჩინოთ დედაენა!

ენაზე. ეროვნული აკადემიის ერთადერთი სამეცნიერო ჟურნალი „ეროვნული აკადემიის ამბავნი“ ადრე ყოველთვიური იყო, ახლა კი მხოლოდ 3 ნომერი გამოვა წლის განმავლობაში და ისიც მხოლოდ ინგლისურ

მართალია, ჩვენი მიზანი ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დახვეწა უნდა იყოს, ჩვენ კი ქართულ ენაზე დაწერილ სტატიებს ვზღუდავთ. **ქართველებმა თურმე სტატიები იმიტომ უნდა ვწეროთ, რომ უცხოელებმა წაიკითხონ.** ამ დროს, ჩვენს საკუთარ სტუდენტებს და ასპირანტებს მთლიანად ვივიწყებთ.

ცხადია, იმის საშუალებაც უნდა იყოს, რომ ქართულ ენაზე დაწერილი სტატიები ინგლისურ ენაზეც ითარგმნოს და საზღვარგარეთაც გავრცელდეს, მაგრამ არა იმის ფასად, რომ სამეცნიერო ლიტერატურიდან ქართული ენა განიდევნოს.

განა ინგლისურისადმი ასეთი მისწრაფება ქართულ ენას არ აკნინებს? განა სტუდენტებს ან მასწავლებლებს არ სჭირდებათ ქართული სამეცნიერო ლიტერატურა სტატიების სახით? თვით ლექტორებს აღარ სჭირდებათ ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დახვეწა? იქნებ, ქართულ ენაზე ლექციების ჩატარებაც ავკრძალოთ?

რა დაგვიშავა ქართულმა ენამ? ის, რომ ეს ენა ამერიკელებმა არ იციან?

რატომ იდევნება ის სამეცნიერო სამყაროდან და რა მიზანს ისახავს ქართული ენის დისკრიმინაცია? თანდათან მასმედიიდანაც ხომ არ განიდევნება ქართული ენა, რადგან ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს უცხოელები ვერ კითხულობენ?

დავიცვათ ენა ქართული, თორემ ინგლისურსა და კომპიუტერს მთელ საქართველოს გადავაყოლებთ!

მერაბ ჯიბლაძე,
„ქართული აკადემია“,
თეთრები“

◎ წირვა



„ვერასოდეს დავიბრუნებთ დაკარგულს, სანამ შეცდომებს არ ვაღიარებთ...“

ერეკლე მეორის საზოგადოების, გაერთიანებული ახალგაზრდული მოძრაობის „წინ“ და ევრაზიის ინსტიტუტის ინიციატივით, თომას კვირის სამშაბათს, მიცვალებულთა მოხსენიების დღეს, მცხეთის წმინდა ბარბარეს ეკლესიაში სამაჩაბლოში, აფხაზეთში გარდაცვლილებისა და, ასევე, სერბეთის ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული სერბი მართლმადიდებელი ქრისტიანების სულის მოსახსენიებელი შეკვეთილი წირვა აღევლინა.

წირვის დასრულების შემდეგ აღსრულდა პატრიარქის კურთხევა და ამავე ეკლესიის ეზოში დაირგო მწვანე ნერგები.

— სამაჩაბლოსა და აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია სერბეთის უბედურების გაგრძელებაა, — გვითხრა ერეკლე მეორის საზოგადოების თავმჯდომარემ არჩილ ჭყოიძემ, — როდესაც სერბეთი დააქუცმაცეს, ქართულმა საზოგადოებამ — ერმა თუ ბერმა, არასწორი, მე ვიტყოდი არაქრისტიანული გადაწყვეტილება მიიღო — მხარი არ დაუჭირა სერბეთის ტერიტორიულ მთლიანობას.

ზნეობრივადაც ვუღალატეთ ჩვენს მართლმადიდებელ ძმებს და იმ საზოგადოებისა და ქვეყნების გვერდით დავდექით, რომლებიც ყოველდღიურად ყველაფერს აკეთებენ, რათა შეავიწროვონ მართლმადიდებლები, ეკლესიები დაუნგრიონ, მართლმადიდებლური აზროვნება გაუნადგურონ. ამიტომ ჩვენ ვალდებული ვართ, მოვიხსენიოთ ეს მებრძოლი ერთმორწმუნე ხალხი.

ბატონი არჩილის თქმით, ეს წირვა შერიგებისკენ გადადგმული ერთ-ერთი ნაბიჯია.

ძალიან ძნელია დაღუპული მშობლების, შვილების, ნათესავების დავიწყება, ზოგს ახლობელი გაუუპატიურეს, უწამეს. ეს დიდი ტრაგედიაა, რომლის მარტივად დავიწყება შეუძლებელია, მაგრამ გავიხსენოთ მეორე მსოფლიო ომი — სადაც მილიონობით ადამიანი დაიღუპა და მერე ეს ქვეყნები შერიგდნენ — საფრანგეთი და გერმანია, ანდა — რუსეთი და გერმანია. იაპონიასა და ამერიკას, ბოლოს და ბოლოს, ატომური ბირთვული ომი ჰქონდათ, მაგრამ დღეს ერთმანეთს არ ხოცავენ.

ვერასოდეს დავიბრუნებთ შიდა ქართლსა და აფხაზეთს მანამ, სანამ შეცდომებს არ ვაღიარებთ და ხმამაღლა არ გავაცხადებთ, რომ ორივე კონფლიქტი საქართველომ დაიწყო.

ამიტომ საჭიროა ჩვენს ძმებთან ერთად დავდგეთ, ერთმანეთს ბოდიში მოვიხადოთ და რასაც უფალი გვეუბნება, ის მცნებები ავასრულოთ. დარწმუნებული ვარ, თუ ამ გზით ვივლით, აუცილებლად შევრიგდებით, გავმთლიანდებით და ქვეყანაც აყვავდება.

ერეკლე მეორის საზოგადოებასთან ერთად მცხეთაში ის არასამთავრობო ორგანიზაციებიც წამოვიდნენ, რომლის წევრებიც არ ეგუებიან დიქტატურასა და იმ საშინელ ანარქიას, რომელიც დამკვიდრებულია ჩვენს სახელმწიფოში.

მცხეთაში ის ხალხი შეიკრიბა, ვინც ჭეშმარიტად მართლმადიდებლობის გვერდით დგას, ქრისტეს სიტყვას ასრულებს და ვისთვისაც მიუღებელია ყველაფერი, რაც ქრისტეს მცნებებს ეწინააღმდეგება.

იქ მოვიდა ის ხალხი, ვინც მართლმადიდებლობას და ერთ გოჯ მიწას არავის დაუთმობს.

ზუთა აფხაიძე, ახალგაზრდული მოძრაობის „წინ“ თავმჯდომარე: — დრო მოვიდა, ხალხი გაერთიანდეს, ერებს შორის შუღლი დასრულდეს, შოვინიზმსა და ნაციზმს ერთხელ და სამუდამოდ უარი ვუთხრათ და ღვთის მცნებით ვიცხოვროთ. კაცთა შორის მშვიდობას ვუჭერთ მხარს და არა — დაპირისპირებას.

თამარ შაიშმელაშვილი

◎ ოკეანის გალმა

21 და 22 მარტს სან-ფრანცისკოს Davis Symphony Hall -ში სანკტ-პეტერბურგის მარინის თეატრი დირიჟორ ვალერი გერგიევის ხელმძღვანელობით კოცერტს მართავდა. უჩვეულო აქ არაფერი იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება: შესასვლელთან მუსიკოსებსაც და მსმენელებსაც პლაკატმომარჯვებული ქართველი და რუსი პროტესტანტები ხვდებოდნენ, რომლებიც პროკლამაციებს არიგებდნენ. მათ ტრანსპარანტებზე ეწერა: „გერგიევი პროპაგანდის დირიჟორი! სიცრუე უნდა შეწყვიტო!“, „სულოვნები ხელოვნებისთვის. არა — ხელოვნებას პროპაგანდისთვის!“, „ვალერი გერგიევი ოკუპანტების დაფარეში და პროპაგანდის იარაღი!“. იქაურ ინგლისურენოვან და რუსულენოვან მედიას ეს მოვლენა არ გამოჰპარვია. სხვადასხვა სამუსიკო გამოცემების, მათ შორის საინტერნეტოშიც, გერგიევის კონცერტის გაპროტესტების ამსახველი ტექსტები და კადრები გაჩნდა. მაგრამ არა მარტო ეს.

გერგიევი, „ლენინგრადი“ და ჩიტო-გვრიტო...

ამერიკის სხვა შტატებსა და ქალაქებში გერგიევის დირიჟორობით გამართული სამუსიკო წარმოდგენის დადებითად შეფასების პარალელურად, კალიფორნიელმა ხელოვნებათმცოდნეებმა გერგიევის ადგილობრივი ვოიაჟი საკმაოდ კრიტიკულად შეაფასეს. კლასიკური მუსიკის კრიტიკოსთა ვებსაიტი San Francisco Classical Voice ასე წერს გერგიევის (პიანისტი დენის მაცუევი) სან-ფრანცისკულ ტურნეზე: „აურზაური, რომელიც რუსი გამომსვლელების ჯანსაღ კომპლიმენტებს მოიცავდა, მეტწილად უფრო ენთუზიასტური ხმაურით იყო გამოწვეული, ძირითადად ფორტეპიანოს სოლისტ დენის მაცუევის დამბომბველი შესრულებით. მაგრამ ძნელი იყო არ გეგრძნო უფრო მოვალეობით ნაკარნახევი შესრულება თავისი წინასწარგანსაზღვრული რეაქციის მოლოდინით. მუსიკოსებს ჰქონდათ თავიანთი მომენტები, განსაკუთრებით შოსტაკოვიჩის N15 სიმფონიის შესრულებისას — ელეგანტური ლირიკული ფრენის შეგრძნება... მაგრამ დირიჟორმა გერგიევმა ვერ იპოვა შემაკავშირებელი მომენტი, სამუსიკო ფორმა, რათა კონცერტის დახურვის საღამოს შეექმნა უფრო მეტი, ვიდრე ზედაპირული და უსიამოვნო შთაბეჭდილება“...



მეგობრები: ვ.პუტინი და ვ.გერგიევი

იგივე San Francisco Classical Voice სხვა სტატიაში აღნიშნავს, რომ ისინიც კი, ვინც „საქართველოს პროვოკაციულ ავანტიურას აკრიტიკებდა“, ამბობენ, რომ გერგიევის მიერ „ლენინგრადის“ სიმფონიის გამოყენებით დირიჟორმა ზომიერების გრძნობა დაკარგა. გერგიევი გახდა ვლადიმირ პუტინის კარიკატურული ლაქია, კრემლის ძალოვანი, რომელიც, ალბათ, საქართველოში გარკვეულ დავალებას შეასრულებდა. გერგიევი და პუტინი მეგობრები 1992 წლიდან არიან, მას მერე, რაც გერგიევი პეტერბურგის კიროვის (მარინის) სახელობის თეატრის დირექტორი გახდა, ხოლო პუტინი — ქალაქის მერის პირველი მოადგილე. ამასთან დაკავშირებით ლონდონური The Times-ის სამუსიკო კრიტიკოსმა რიჩარდ მორისონმა აღნიშნა: „სამუსიკო ისტორიაში მე სხვა შემთხვევას არ ვიცნობ, ალბათ, ვაგნერისა და ბავარიის მრისხანე მეფე ლუდვიგის ახლობლობის გარდა, როცა მუსიკოსი ძალაუფლების მჭერობელთან ასე ახლობლობდეს“...

სამუსიკო ბლოგერმა სახელწოდებით „ოპერის ჭორიკანა“ (The Opera Tattler) კი დაწერა, რომ კონცერტის დროს მობილურმა ტელეფონმა სამჯერ დარეკა, ხოლო დარბაზში საუბარი ისმოდაო...

დარბაზის გარეთ კი კონცერტის დაწყებიდან ვიდრე დასასრულამდე ერთი ათეული ქართველი პროტესტანტი „ლიფლეტებს“ არიგებდა. მუსიკის მოსასმენლად მოსული კალიფორნიელები ამ საინფორმაციო ფურცლებს კონცერტის პროგრამასთან ერთად არანაკლები ინტერესით კითხულობდნენ. ამ ფურცლების საშუალებით კი გაეცნობოდით საერთაშორისო ორგანიზაციების (http://www.ceiig.ch/pdf/II FFMCG-Volume-I.pdf) იმ ანგარიშებსა და 2008 წლის საერთაშორისო პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებში/წყაროებში მითითებულ იმ ფაქტებს, რომელიც საქართველოს აგრესორ ქვეყნად წარმოსახვას უკუაგდებს:

„ვალერი გერგიევმა რუსეთის ფედერაციის ჯარების მიერ ოკუპირებული საქართველოს ნაწილის სამაჩაბლოს (ე.წ. სამხრეთ ოსეთის) დედაქალაქ ცხინვალში მარინის ორკესტრს უდირიჟორა. მან მსმენელებსა და მსოფლიოს განუცხადა, რომ რუსეთი არაა აგრესორი.

მან იცრუა!

გერგიევმა მსმენელებსა და მსოფლიოს განუცხადა, რომ ქართველებმა 2000 მშვიდობიანი მოქალაქე მოკლეს.

მან იცრუა!

ფაქტი: Le Monde-ს წარმომადგენელი ჯონათან ლიტელი შემთხვევით გადაეყარა 35-მდე ახალგაზრდა ქართველ მამაკაცს, რომლებიც კონცერტის ჩატარების ადგილიდან 100 მეტრში თუ უფრო მეტ მანძილზე საკანში იყვნენ ჩაკეტილნი. იქედან მათ დმიტრი შოსტაკოვიჩის ცნობილი „ლენინგრადის“ სიმფონიის მოსმენა შეეძლოთ (www.csmonitor.com, 2008)...“ _ გვამცნობდა პროკლამაცია.

* * *

მომავალი იურისტის **ეკა გვათუას** ოჯახი ამერიკაში თითქმის 20 წელია რაც ცხოვრობს. 2008 წლის აგვისტოში მან თავისი საქველმოქმედო ორგანიზაცია „ბებუაწვერას დახმარების ჯგუფის“ საშუალებით პუმანიტარული დახმარება საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაზარალებულ ადამიანებს გაუგზავნა, რამდენიმე თვის წინათ კი ქართველ ბავშვებს სათამაშოებიც შეუგროვა. სამომავლოდ კალიფორნიაში ობილისურ პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად ქართული კულტურის ფესტივალის მოწყობასაც გეგმავს.

აპრილის ბოლოს სან-ფრანცისკოში უკვე 53-ედ Kabuki Theatre-ს საერთაშორისო კინოფესტივალი იმართება, სადაც მსოფლიოს ქვეყნების წარმომადგენლები თავის ფილმებს წარადგენენ. აქ ქართველი რეჟისორის რუსუდან პირველის ფილმს „სუსას“ აჩვენებენ; ასევე პროგრამით გათვალისწინებულია ანდრეი ნეკრასოვისა და ოლგა კონსკაიას ფილმი — „რუსულის გაკეთილები“. ჩვენების შემდეგ ეკა და მისი ორგანიზაციის წევრები ფილმის განხილვის ორგანიზებას გეგმავენ. რაც შეეხება Davis Symphony Hall-თან გამართულ საპროტესტო აქციას: ეკა ამბობს, რომ გერგიევის, როგორც დირიჟორის წინააღმდეგ არაფერი აქვს, მაგრამ ამ კაცმა ცხინვალში მაშინ, როცა ქართველთა გადამწვარ სოფლებსა და სახლებს ჯერ კიდევ ბოლი ასდიოდა, შოსტაკოვიჩის მეშვიდე სიმფონიას ისეთი „კონტექსტით“ უდირიჟორა, თითქოსდა ქართველები ნაცისტები ყოფილიყვნენ. ამით მან კრემლის პროპაგანდისტის როლი შეასრულა. კონცერტზე მისულმა ერთმა მსმენელმა კი მას მერე, რაც გერგიევის ცხინვალური ვნებების შესახებ შეიტყო, კონცერტზე შესვლა გადაიფიქრა და პროტესტანტების გვერდით დადგა.

— ამ მოკრძალებული აქციის მოწყობის შესახებ პოლიციას წინასწარ შევატყობინეთ. — მიყვება ეკა. — გვაინტერესებდა საჭირო იყო თუ არა ნებართვა. აღმოჩნდა, რომ მცირერიცხოვანი ჯგუფისთვის, რომელიც არც გზას გადაკეტავდა და არც მიკროფონებს გამოიყენებდა, ნებართვის ფურცელი სულაც არ იყო საჭირო. თუმცა საკონცერტო ცენტრის ამერიკელი მენეჯერი წამდაუწუმ გვეუბნებოდა და ადგილის დატოვებას გვთხოვდა. მერე სამართალდამცავებსაც გამოუძახა, მაგრამ პოლიციამ ჩვენი უფლებები დაიცვა. ხალხს აინტერესებდა რას ვაპროტესტებდით, რა მოხდა საქართველოში... მეორე დღეს უფრო მეტნი გვეხვეოდნენ თავს, მეტს გვეკითხებოდნენ. მარინის თეატრის მუსიკოსები კი ყოველგვარი კომენტარის გარეშე ჩაგვეელიდნენ ხოლმე. კონცერტზე დასასწრებად რუსეთიდან ჩამოსული ემიგრანტი მრავალად იყო, სამწუხაროდ, ტიპური „სოვოკ“, რომლებსაც ვერ გაეგოთ, საქართველოს დამოუკიდებლობა რად უნდოდა. ერთი უცნაური კაცი დაგვამახსოვრდა, რომელიც გაბრაზებული აგვიელ-ჩაგვიელიდა, თითქოს რაღაც უნდოდა ეთქვა, საკმაოდ გაღიზიანებული ჩანდა (ჩვენ ყველას განვუცხადეთ, რომ კითხვებზე პასუხებისთვის მზად ვიყავით), იბღვირებოდა. ბოლოს ეს მამაკაცი კონცერტის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე როგორც იქნა ჩამოგვშორდა, შესასვლელისკენ გაემართა, იქ კი უცებ მობრუნდა და ხმამაღლა „წამოგვძახა“ — „ჩიტო-გვრიტო!“...

ია მერკვილაძე,
ნიუ-იორკი-სან-ფრანცისკო

◎ განსჯა



სმოლენსკთან მომხდარ ტრაგედიაზე, როგორ აისახება იგი რუსეთ-პოლონეთის ურთიერთობაზე, ასევე იმაზე, რუსეთისაგან რა ნაბიჯებია მოსალოდნელი მეზობლების მიმართულებით, „ინტერპრესნიუსი“ რუს პუბლიცისტს დიმიტრი შუშარინს ესაუბრა.

„რუსეთში ერთდღიანი გლოვის გამოცხადება პუტინისა და მედვედევის გარემოცვას აშკარად არ მოეწონა“

— ბატონო დიმიტრი, თქვენ გაახმოვანეთ ინიციატივა სმოლენსკში მომხდარი ტრაგედიის შესასწავლად საერთაშორისო კომისიის შექნის შესახებ. ამ ინიციატივის განსახორციელებლად ვინმე თუ გამოგეხმაურათ და ამ მიმართულებით რუსეთის საზოგადოებამ რაიმე ნაბიჯი გადადგა? და კიდევ, თუ შეიძლება იმის შესახებ, რატომ მიიჩნევთ რომ აუცილებელია საერთაშორისო კომისიის შექმნა?

— საერთაშორისო კომისიის შექმნის სასარგებლოდ არგუმენტები იმაზე მეტია, ვიდრე შეიძლება ვინმეს წარმოუდგენია. რუსეთის ხელისუფლებას ბოლომდე არ გამოუძიებია არც ერთი ტერაქტი და არც ერთი პოლიტიკური მკვლელობა, რომელიც უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში რუსეთში მოხდა. ძალიან ხშირად ვრცელდება ინფორმაცია ტერაქტის მომწყობთა გარდაცვალების შესახებ. მომხდარის შემდეგ ჩემი მორალური პოზიცია იყო საერთაშორისო კომისიის შექმნა. ამგვარი კომისიის შექმნა იმის გამოც იყო აუცილებელი, რომ სმოლენსკის ტრაგედია კიდევ ძალიან დიდ ხანს იქნება რუსეთისათვის გამართლებული თუ გაუმართლებელი ბრალდებების წაყენების საბაბიცა და საფუძველიც. მომხდარში მე ბრალს არავის არ ვდებ, უბრალოდ რუსეთ-პოლონეთის მომავალი ურთიერთობები უფრო მაღელვებს და მაფიქრებს.

ცხადია, რომ რუსეთ-პოლონეთის მომავალი ურთიერთობები ბევრად იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორი შედეგებით დაასრულებს მუშაობას სმოლენსკის ტრაგედიის საგამოძიებო ჯგუფი, რომელსაც პრემიერ-მინისტრი პუტინი ხელმძღვანელობს.

ჩემი აზრით, დაღუპულთა შემდეგ ყველაზე მეტად რუსეთის პირველი პირები დაზარალდნენ. მათ პოლონეთთან მიმართებაში გარკვეული ნაბიჯები გადადგეს. აშკარა იყო, რომ პუტინს სურდა წერტილი დაესვა ვარშავასა და მოსკოვს შორის დაპირისპირებაზე, რომელიც კატინის ისტორიას უკავშირდებოდა. ის რაც სმოლენსკთან ახლოს მოხდა, მძიმე დარტყმაა იმ პოლიტიკისათვის, რასაც რუსეთის მხრიდან დასავლეთთან ურთიერთოების დაახლოება და ამ კურსის მომავალშიც გაგრძელება ჰქვია. რუსეთის ხელისუფლება მიხვდა, რომ დასავლეთისა და მეზობლებისადმი აქამდე წარმოებული არარაციონალურ პოლიტიკას წერტილი უნდა დაუსვას.

— თქვენი აზრით, როგორ აისახება მომხდარი რუსეთ-პოლონეთის ურთიერთობებზე? მთელი პოლონეთი თუ არა, პოლონელთა უმრავლესობას არ სჯერა, რომ მომხდარი უბედური შემთხვევის ბრალია...

— მომხდარში რუსეთის ხელისუფლება ყველაზე ნაკლებად იყო დაინტერესებული. როგორც გითხარით, რუსეთის ხელისუფლებას სურდა კატინის ეპოპეისათვის წერტილი დაესვა. იმის გამო, რომ რუსეთი ენერგომატარებლების მილებზე ძალიან დამოკიდებულია, პუტინმა პოლონეთის პრემიერ-მინისტრ ტუსკთან რუსეთიდან პოლონეთში ენერგომატარებლების მიწოდების გაზრდაზე შეთანხმებაც გააფორმა.

თუ მომხდარი ვინმეს აწყობდა, ეს ხელისუფლების ის ნაწილია, რომელიც არ არის აღფრთოვანებული რუსეთის საგარეო პოლიტიკით და კრემლის მცდელობით მოანესრიგოს ურთიერთოები როგორც დასავლეთთან, ასევე მეზობლებთან. პუტინისა და მედვედევის გარემოცვაში ცოტაა ხალხი, ვინც მხარს უჭერს დასავლეთთან კრემლის დაახლოების კურსს.

ძალოვნებსა და კრემლის ნომენკლატურას არ მოეწონა კატინის ტრაგედიის 70-წლისთავისადმი მიძღვნილ ღონიძიებებზე პუტინის მიერ წაკითხული მოხსენება და გაკეთებული განცხადებები. პუტინის განცხადებები პრაქტიკულად მონანიების ელემენტებს შეიცავდა. ეს და თქვენ წარმოიდგინეთ, დაღუპულთა ხსოვნისადმი პატივის მისაგებად რუსეთში ერთდღიანი გლოვის გამოცხადება პუტინისა და მედვედევის გარემოცვას აშკარად არ მოეწონათ. მედვედევისა და პუტინის გარემოცვას ამის გამო უკმაყოფილება არც დაუმალავს. ეს ის კატეგორიაა, რომლებიც ხელისუფლებაში პუტინმა მოიყვანა და მისი ნდობით სარგებლობენ. ეს იმაზე მოუთითებს, რომ ადამიანები, რომელსაც მან თავის დროზე ნდობა გამოუცხადა, სულითა და ხორცით ჩეკისტები არიან და მათთვის დასავლეთისაკენ მცირედი გადახრაც კი მოუღებელია.

როგორც ხედავთ, რუსეთში დრო აშკარად შეიცვალა. პუტინისა და მედვედევის გარემოცვა თავის უკმაყოფილებაზე ხმამაღლა საუბარს არ ერიდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსეთის ხელისუფლება ბევრად არის დამოკიდებული იმ გარემოცვაზე, რომელიც თავად შექმნა.

— ბრძანეთ, რუსეთი მიხვდა, რომ დასავლეთთან და მეზობლებისადმი აქამდე წარმოებულ არარაციონალურ პოლიტიკას წერტილი უნდა დაუსვას. თუ უკრაინაში იანუკოვიჩის გამარჯვებას, ყირგიზეთზე რუსეთის კონტროლის გაძლიერებას, მანამდე საქართველოში 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს, ახლა კრემლისადმი ოპოზიციურად განწყობილი პოლონური ელიტის მთლიანად დაღუპვას გავიხსენებთ, პირიქით ხომ არ უნდა ვიკარაუდოთ, - ყველაფერი ახლა ხომ არ იწყება?

— უკრაინისადმი კრემლის პოლიტიკა ბევრად იყო განპირობებული დემოკრატი იუშჩენკოს პიროვნულად მიუღებლობით. თუ დაუკვირდებით, მართალია იანუკოვიჩი უკრაინის ბლოკურ პოლიტიკაზე უარს ამბობს, მაგრამ ევროკავშირთან ინტეგრაციას ემხრობა. იგი რუსეთის მიმართ ბევრ ლამაზ განცხადებებს კი აკეთებს, მაგრამ კრემლთან დამოკიდებულებაში რაციონალურ პოლიტიკას ატარებს. იანუკოვიჩი მოსკოვისაგან ბევრ პრეფერენციებს კი იღებს, მაგრამ ლუკაშენკოს მსგავსად არ ავიწყდება საკუთარი ხელისუფლების გაძლიერება და უკრაინის სუვერენიტეტის დაცვა. კრემლი ბელორუსიისა და უკრაინის სუვერენიტეტს სრულყოფილად არ მიიჩნევს, მაგრამ ამ ლიდერების მთავრი ამოცანა რუსეთისაგან ბელორუსისა და უკრაინის სუვერენიტეტის დაცვაა, ფაქტია.

რაც შეეხება ყირგიზეთს, აქ ვითარება რთულია. მე არ გამოვრიცხავ ყირგიზეთის როგორც სახელმწიფოს, სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებად დაშლას. ყირგიზეთი ახლა იმავე გზას გადის, რომელიც თავის დროზე ტაჯიკეთმა გაიარა. სხვათა შორის რუსეთმა არ დაუშვა ტაჯიკეთის დაშლა.

— ისევ რუსეთის პრობლემებს დავუბრუნდეთ. თქვენი აზრით, რამდენად საკარაუდოა რუსეთის მოდერნიზაცია და დასავლეთთან ურთიერთობების გაღრმავება?

— ეს ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იმოქმედებს კრემლის დემოკრატიული ოპოზიცია. პუტინმა და მედვედევმა საერთაშორისო ასპარეზზე გადადგმული ნაბიჯებით ყველას შეახსენეს, რომ თავისივე შექმნილი მასისაგან განსხვავებით მათ მსოფლიოს პოლიტიკური ელიტა ანგარიშს უწევს. ეს კი, არც მათ გარემოცვას და არც დემოკრატიული ფლანგის ლიდერებს არ აწყობთ.

კოზა ბენდელიანი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ისტორიის გადაწერა

იმისთვის, რომ უფრო გაარკვიოს, თუ როგორი უნდა იყოს მომავალში ურთიერთობა რუსეთთან, საქართველომ გადაწყვიტა ჩაიხედოს წარსულში და, შეიძლება, რაიმე შეასწოროს კიდეც. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით იქმნება კომისია, რომელიც დაწვრილებით შეისწავლის რუსეთის პოლიტიკას საქართველოსთან დაკავშირებით. „ეს აქტუალურია და აუცილებელი, რათა გავაგრძელოთ ჩვენი ბრძოლა და თავიდან ავიცილოთ უარესი მომავალში“, — ასე განმარტა თავისი გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტმა

კომისიას, რომელშიც შევლენ ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ჟურნალისტები, სათავეში ჩაუდგებიან ცნობილი ქართველი ექსპერტები ვასილ რუხაძე და თორნიკე შარაშენიძე. ქართული სააგენტოს „პირველის“ მონაცემებით „ხელახალი გააზრების“ სტიმული გახდა ამერიკის შეერთებული შტატების კენტის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტის ვასილ რუხაძის თეზისები. მისი აზრით, საქართველოს საზოგადოებაში სუსტია „კოლექტიური მეხსიერება“ „მისთვის ტრაგიკულ დღეებთან დაკავშირებით“. საკითხი შეეხება, მაგალითად, ორ თარიღს, რომელთა შესახებაც ექსპერტმა შესთავაზა გამოაცხადონ ისინი ეროვნული გლოვის დღეებად.

ესენი არიან — 1801 წლის 8 იანვარი და 1921 წლის 25 თებერვალი. პირველ შემთხვევაში საკითხი შეეხება პავლე პირველის მიერ ქართლ-კახეთის რუსეთის იმპერიისადმი მიერთების ბრძანებულების ხელმოწერას. ეს ბრძანებულება დაადასტურა მოკლული პავლეს მემკვიდრემ იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა იმავე წლის 1 სექტემბერს. იგი გამოაქვეყნეს საქართველოში მხოლოდ 1802 წლის აპრილში, თბილისის სიონის ეკლესიაში. ქართველი ისტორიკოსების მონაცემებით, ტაძართან ჯარებიც კი მოიყვანეს, რათა თავიდან აეცილებინათ შესაძლო პროტესტის მცდელობა.

მეორე შემთხვევა შეეხება მენშევიკური საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გასაბჭოებას მე-11 წითელი არმიის ნაწილების მიერ. ქართველმა მეცნიერმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ზურაბ ბრეგვაძემ აღნიშნა, რომ საქართველოში დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1918 წლის 26 მაისს. იმ წელიწადში ერთა ლიგის 23 ქვეყნიდან იგი აღიარა ათმა ქვეყანამ. 1920 წელს რუსეთმა და საქართველომ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ერთი-მეორის აღიარების შესახებ. მაგრამ 1921 წლის ზამთარში საბჭოთა რუსეთმა საქართველოში გაგზავნა ჯარები „აჯანყებული მშრომელების თხოვნის“ პასუხად. მენშევიკების მთავრობა საფრანგეთში გაიქცა. „ეს იყო ბოლშევიკების პროვოკაცია საკუთარი ხალხის წინააღმდეგ“, — მიაჩნია ბატონ ბრეგვაძეს. სხვათა შორის, ჯერ კიდევ 2006 წლის 26 მაისს საქართველოს დედაქალაქის რუსთაველის პროსპექტზე მიხეილ სააკაშვილმა გახსნა „ოკუპაციის მუზეუმი“.

როგორც ბატონ რუხაძეს მიაჩნია, კომისიამ მუშაობა უნდა დაიწყოს 1801 წლიდან. საბჭოთა პერიოდში რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის ისტორია წარმოჩენილი იყო 1873 წლის 24 ივლისს (4 აგვისტო) გეორგიევსკში საქართველოს თხოვნით დადებული ტრაქტატით რუსეთის მფარველობის ქვეშ ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს შესვლის შესახებ. რუსეთის პროტექტორატი იმ დროისთვის მფარველობდა საქართველოს საგარეო მტრებისგან. გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი მეტად ამაღლებულად აღინიშნა საქართველოს სსრ რესპუბლიკაში. „საქართველოს საზოგადოების ნაწილი ძლიერ ნოსტალგიას განიცდის სსრ კავშირთან დაკავშირებით“, — აღიარებს ასეთი კომისიის შექმნის იდეის ავტორი. ის გვთავაზობს გავაცნოთ ხალხს ისტორიული მასალები, მათ შორის ახალი გამოკვლევებიც. განზრახულია შეიქმნას სახელმძღვანელოები სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლებისთვის, შეიქმნას „მეფისა და საბჭოთა ოკუპაციის“ მსხვერპლთა მემორიალები. შემოთავაზებულია აგრეთვე დაერქვას მათი სახელები ქუჩებს და გადაღებული იქნეს მათ შესახებ ფილმები.

„იმის სურვილი, რომ აჩვენონ — რუსეთი ყოველთვის იყო საქართველოს მტერი, — ეს უმეტესად პოლიტიკური დაკვეთაა, — ამბობს ზურაბ ბრეგვაძე. — ისტორიაში ხომ იყო ცუდიც და კარგიც. დღეს საქართველოს და რუსეთის ხელისუფლებანი ერთმანეთს ვერ იტანენ პიროვნულ დონეზე, რის გამოც ურთიერთობანი ორ ქვეყანას შორის აფუჭებს ყველაფერს, რისი გაფუჭებაც კი შეიძლება. უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში კონტაქტების აღდგენა არ გამოვა. მაგრამ არც სრული დისტანცირება გამოვა — თუ გავითვალისწინებთ მრავალწლიან გამოცდილებას, ერთმორწმუნეობას. უნდა შეგვეძლოს ხელისუფლება გამოვყოთ ხალხისგან“.

მიხეილ ვიგნანსკი

ВРЕМЯ
НОВОСТЕЙ

დედამიწის ზურგზე



პოლონეთის პრეზიდენტის არჩევნები შეიძლება 20 ივნისს გაიმართოს

ერთ-ერთი პოლონური გამოცემის მონაცემებით, სწორედ ამ თარიღის შეთავაზებას აპირებენ პარტიების „კანონი და სამართლიანობა“ და „დემოკრატიული მემარცხენე ძალების კავშირის“ წარმომადგენლები პარლამენტის თავმჯდომარისთვის ბრონისლავ კომოროვსკისთვის, რომელიც პრეზიდენტობის კანდიდატია მმართველი პარტიისგან „სამოქალაქო პლატფორმა“.

* * *

ყირგიზეთის გადაყენებულ პრეზიდენტს ემუქრება იმპიჩმენტი, მაგრამ იგი თავშესაფრის თხოვნას არ აპირებს

მთავრობის მომხრე ფრაქციის „აკ ჟოლის“ დეპუტატები ახალ ხელისუფლებას სთავაზობენ დაეხმაროს მათ ხელისუფლების ლეგიტიმიზაციაში და იმპიჩმენტის მოწყობაში. თავად ყურმანბეკ ბაკიევი აცხადებს, რომ „მზად არის წავიდეს კომპრომისზე, მოლაპარაკებაზე“. ამჟამად ბაკიევთან მოლაპარაკებას მისი გადადგომის პირობების შესახებ ანარმოებენ სამართალდამცველები.

◎ დიდი ტერორი?

1937 წლის გამოცანის ამოხსნა

ალექსანდრ ელისეევი

„საუკუნის დანაშაული“ თუ ქვეყნის გადარჩენა?

რიბაკოვი სტალინს მიაწერს საკმაოდ სწორ აზრებს, რომლებიც მას ნამდვილად ჰქონდა. მაგალითად, რომანში სტალინი თავის მთავარ მტრად წარმოაჩენს ნითელ ბიუროკრატიზმს: „აპარატს აძვს გახეთების თვისება, აპარატი, რომელიც შეკავშირებულია მრავალი მრავალწლიანი კავშირებით, ბერკეტის ნაცვლად იქცევა მუხრუჭად, მუმიად... აპარატი უნდა შეინარჩუნო, აპარატი უნდა გაამყარო, მაგრამ ჩანასახშივე უნდა მოსპო მასში თვითმყოფადობა, უწყვეტად უნდა ცვალო ხალხი, არ მისცე ურთიერთკავშირების შემჭიდროების საშუალება, უწყვეტად ცვალებად აპარატს არ გააჩნია დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა, მაგრამ რჩება ძლიერ ძალად ბელადის ხელში... ამჟამინდელი აპარატი (რომანის მოქმედება 1934 წელს ხდება – ა.ე.) – ეს უკვე ძველმანია, გადამუშავებული ორთქლია, ხარახურაა. მაგრამ ეს ძველი კადრები ყველაზე მეტად შეკავშირებულიცაა, უფრო მეტად შეკავშირებული, ისინი თავიანთი ადგილებიდან ასე უბრალოდ არ წავლენ, ისინი უნდა მოვიშოროთ თავიდან“.

მეტად საინტერესოა რომანის მთავარი გმირის საშა პანკრატოვის „დამუშავება“. იმ უმაღლესი სასწავლებლის პარტიულმა ორგანიზაციამ, სადაც საშა სწავლობდა, მას პოლიტიკური ბრალდება წაუყენა. საშას დაცვას ცდილობს მისი ბიძა – მარკ რიაზანოვი, ერთ-ერთი დიდი ქარხნის დირექტორი და თავად სტალინის საყვარელი პიროვნება. მარკის თხოვნით საშასთვის ზრუნავს ძველი ბოლშევიკი, სახალხო კომისარი ბუდიაგინი. და როგორ გგონიათ, ეს აშინებს ბრალმდებლებს? არა, სულაც არა. კრებაზე, რომელზეც ამუშავებდნენ საშას, პარტბიუროს მდივანი ბაულინი ამბობს: „პანკრატოვს დაუსჯელობის იმედი აძვს. დიდი მფარველების იმედი. დარწმუნებული იყო, რომ პარტიულ ორგანიზაციას მათი სახელების შეეშინდებოდა. მაგრამ პარტიული ორგანიზაციისთვის პარტიის საძმე, პარტიული ხაზის სიწმინდე ნებისმიერ სახელზე, ნებისმიერ ავტორიტეტზე მაღლა დგას“.

დემოკრატიზმის როგორი აპოთეოზია! რატომაა რიბაკოვი ასე უკმაყოფილო სტალინიზმით? იმიტომ, რომ მას არანაირი დემოკრატია არ უნდოდა, როგორც არ უნდოდათ (ან არ უნდათ) იგი სტალინიზმის სხვა კრიტიკოსებს. მათ ოლიგარქიის ხელისუფლება სურთ. არ გამოუვიდათ კომუნისტური ოლიგარქია, მაშ გამოვა კაპიტალისტური ოლიგარქია. ასეთმა ლოგიკამ მრავალმხრივ შეუწყო ხელი იმ მიმართულებას, რომელიც გორბაჩოვის „პერესტროიკამ“ აირჩია. ნამდვილი დემოკრატიის ნაცვლად იგი კაპიტალიზაციის გზით წავიდა, გადასცა ხელისუფლება გაბურჟუაზიებული ბიუროკრატიის ხელში, საკუთრება კი – ბურჟუაზიულ ოლიგარქებს.

რიბაკოვსა და მის მსგავს „მემარცხენე“ ავტორებს წამოსცდათ რაღაცები და მათი ეს წინდაუხედაობა საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ სწორი დასკვნები. თუმცა მე, სიმართლე უნდა ითქვას, სულაც არ მინდა ასეთი მაღალი შეფასება მივცე იმ დემოკრატიზმის ხარისხს, რომელიც 1934 წელს არსებობდა, როგორც ამას რიბაკოვი შვრება. მაშინ ასეთი კრებები შეუძლებელი იყო. აი 1937 წელს კი ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო.

და უნდა ითქვას, რომ რეგიონალური ლიდერები ყოველნაირად უწევდნენ წინააღმდეგობას რიგითი პარტიული მასების დემოკრატიული ნებასურვილის გამომჟღავნებას. უკვე 20 მარტს კოსიორმა სტალინს გამოუგზავნა დეპეშა, რომელშიც საკითხი ფარული კენჭისყრის შესახებ დასახელებული იყო, როგორც გაურკვეველი. სტალინმა განმარტა სიტუაცია, უპასუხა მოკლედ, მაგრამ ზუსტად: „არჩევნები საერთოდ ეწყობა ფარული კენჭისყრის გზით“. ყოველი შემთხვევისთვის კი იმავე დღეს პოლიტბიუროს მიაღებინა ცირკულარი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ არჩევნები უნდა გაიმართოს სწორედ ფარული კენჭისყრით, აიკრძალოს სიის მიხედვით კენჭისყრა და უზრუნველყოფილი იქნეს კანდიდატურების შეუზღუდავი მოხსნის უფლება. რეგიონალების წინააღმდეგობა ისეთი ძლიერი იყო, რომ 8 მაისს პოლიტბიურო ღებულობს ცირკულარს, რომელშიც კიდევ ერთხელ იყო გამახვილებული ყურადღება ღია კენჭისყრის დაუშვებლობის შესახებ.

რასაკვირველია, სტალინს სულაც არ ჰქონია იმედი ყველაფერში დაყრდნობოდა მასების სტიქიას (ამას არც ერთი პოლიტიკოსი არ აკეთებს). მოძრაობა „ძვემოდან“ მან შეავსო ერთგვარი მოძრაობით „ზემოდან“, რომლის მიზანიც დიდი რეგიონალური ორგანიზაციების მდივნების პოზიციის დასუსტება იყო. მან საკმაოდ მახვილგონივრული სვლა გააკეთა, როდესაც ცენტრალური კომიტეტის საიდუმლო განყოფილების საშუალებით მოაწყო უშუალო და ფარული კავშირი რაიონული კომიტეტების მდივნებთან (იმის შესახებ, რომ ასეთი კავშირი მართლა იყო, მოწმობს სმოლენსკის პარტიული არქივი, რომელიც გერმანელებმა იგდეს ხელთ ომის დროს). ამით ბელადმა პატარა პარტოკრატები დიდებს დაუპირისპირა.

სტალინის პოზიცია განმტკიცდა კიდევ მარტში იაგოდას და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ყოფილი ხელმძღვანელობიდან რამდენიმე პირის – პ.პ.ბულანოვის, ი.მ.ოსტროვსკის, მ.ი.გაის, კ.ვ.პაუკერის დაპატიმრების შემდეგ. შინსახკომის ეჟოვურმა ხელმძღვანელობამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ მხარს უჭერს სტალინს სპეცსამსახურების სერიოზული შეთქმულების გამოააშკარავებით და საგანგებო კომისიაში ნებისმიერი შეთქმულების გარანტად თავისი თავის წარდგინებით. ეს იყო კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ პარტოკრატიამ, კბილების კრაჭუნით, ნება მისცა სტალინს განეხორციელებინა მისთვის ხელსაყრელი სტრუქტურული გარდაქმნა.

მაგალითად, 14 აპრილს პოლიტბიუროში ორი მუდმივი კომისია შეიქმნა. ერთ მათგანს უნდა გადაეწყვიტა გადაუდებელი საშინაო პოლიტიკური საკითხები. მის შემადგენლობაში შევიდნენ სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი და ეჟოვი. მეორე კომისიას ევალებოდა ასეთივე საგარეო პოლიტიკის საკითხები. მასში ჩართეს მოლოტოვი, სტალინი, ჩუბარი, მიქოიანი და კაგანოვიჩი. ი.ნ.ჟუკოვს მიაჩნია, რომ ეს ზომა მიღებული იქნა სტალინის მოწინააღმდეგეთა დეზინფორმაციისთვის. მისი აზრით, კომისიაში არ შედიოდა ბევრი იმ პარტიულ მოღვაწეთაგანი, ვინც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა რეფორმების მომზადებაში (ვიშინსკი, იაკოვლევი, ა.ი.სტეცკი, ბ.მ.ტალი) და ამასთან დაკავშირებით თითქოსდა ეკუთვნოდა ხელისუფლების ყველაზე მაღალ ეშელონს. თითქოსდა სტალინი მათ აცილებდა თავის მოწინააღმდეგეთა ყურადღებას. მაგრამ უცნაურად გვეჩვენება, რომ მითითებული მოღვაწეები ყოფილიყვნენ ისეთი ფიგურების თანაბარზომიერნი, როგორებიცაა მოლოტოვი ან კაგანოვიჩი. თანაც ძნელად რომ შესაძლებელი ყოფილიყო დაგემალა რეგიონალებისთვის თითოეული სტალინისტის ჭეშმარიტი მდგომარეობა, რომელიც განისაზღვრებოდა იმ თანამდებობით, რომელიც მათ ეკავათ. ის კი, რომ ეს ხელმძღვანელი მუშაკები ამუშავებდნენ ბევრ მნიშვნელოვან და დელიკატურ საკითხებს, ჯერ კიდევ არაფერზე არ ლაპარაკობს. დამუშავება – ეს ერთი საქმეა, თავად გადაწყვეტილებათა მიღება – სრულიად სხვა რამე.

მიმაჩნია, რომ აღნიშნული კომისიის შექმნით სტალინი აღწევდა მთავრობის, სახალხო კომისართა საბჭოს პოზიციის განმტკიცებას. ყურადღებას იპყრობს, რომ კომისიებში, თავად სტალინის გარდა, შეყვანილი იყვნენ მხოლოდ და აუცილებლად საკავშირო მთავრობის მოღვაწენი (ჩუბარი იმ მომენისთვის სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იყო). ცხადია, მისი შეყვანა შინაპოლიტიკურ კომისიაში ერთგვარი კომპრომისი იყო რეგიონალების დაჯგუფებასთან. ჩუბარი მათი წრიდან იყო, მაგრამ იმყოფებოდა უკვე მათთვის მიღებული სახკომსაბჭოს გავლენის ქვეშ. საინტერესოა, რომ საგარეოპოლიტიკური კომისიის წევრთა ჩამონათვალში სტალინი მეორე ადგილზე დგას, მოლოტოვის შემდეგ. ეს, უეჭველია, პატივისცემის ნიშანი იყო თავად მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობის მიმართ. და ამ თანამდებობაზე ყოფნა მას თავადაც უნდოდა ჯერ კიდევ 1929 წლიდან (ამის მიღწევა მან შეძლო მხოლოდ 1941 წელს, ომის წინ).

თავისი გადაწყვეტილებით – შეექმნა კომისიები – სტალინი აშკარად აგრძნობინებდა, რომ მთავარ როლს ქვეყანაში შეასრულებენ სწორედ სახელმწიფო მოღვაწეები. მათზე, უწინარეს ყოვლისა, უნდა ყოფილიყო დამოკიდებული როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი და გადაუდებელი პრობლემების გადაწყვეტა.

ცხრა დღის შემდეგ სტალინმა მოიპოვა კიდევ ერთი გამარჯვება. მან მოახდინა რსფსრესპუბლიკის 7 სამხარეო და საოლქო კომიტეტის – ჩრდილოეთ კავკასიის, სტალინგრადის, სარატოვის, გორკის, სვერდლოვსკის, ლენინგრადის, აღმოსავლეთ ციმბირის – დაწვრილერთეულება. მათი დაქვემდებარებიდან გამოიყვანეს ავტონომიური რესპუბლიკების პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც სკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს დაუმორჩილეს. უფრო ადრე, 1936 წელს, გააუქმეს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი, რომლის ადგილზეც წარმოიქმნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიები. ამგვარი ღონისძიებებით სტალინი ახალი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს უპირისპირებდა იმ ღიდერებს, ვისაც ადრე ექვემდებარებოდნენ.

25 აპრილს კი პოლიტბიურომ შექმნა განსაკუთრებული ორგანო – სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული თავდაცვის კომიტეტი. მასში შევიდნენ: მოლოტოვი, სტალინი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, ჩუბარი, გამარნიკი, ჟდანოვი, ეჟოვი, ვ.მ.რუხიმოვიჩი, ვ.ი.მეჟლაუკი. თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე მოლოტოვი გახდა. აქ თვალში საცემია, რომ სამთავრობო კომიტეტში შეიყვანეს ცენტრალური კომიტეტის ორი მდივანი – სტალინი და ჟდანოვი, რომლებსაც არანაირი თანამდებობა არ ეკავათ მთავრობაში. ისინი აღმოჩნდნენ მოლოტოვის – სახკომსაბჭოს თავმჯდომარის – ხელქვეითები. რასაკვირველია, საკითხი იმას კი არ შეეხებოდა, რომ სტალინი დამორჩილებოდა მოლოტოვს, როგორც პოლიტიკოსი. სტალინს უნდოდა, რომ დაქვემდებარებაში ყოფილიყო თავად ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობა. თავად სტალინი აშკარად უმიზნებდა მთავრობის თავმჯდომარის პოსტს – ეს ყველაზე მეტად შეესაბამებოდა გონიერ, შრომისმოყვარე და მორუდუნე ორგანიზატორს. ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე მას, ალბათ, იდეოლოგი ჟდანოვი ჰყავდა გათვალისწინებული.

გადატრიალების მცდელობა

მაგრამ გაზაფხულზე პოლიტიკურ თამაშში აქტიურად ჩაერთო „მემარცხენე მილიტარისტების“ ჯგუფი. მანამდე იგი ძირითადად განზე იდგა, თუმცა მისი განწყობილება ახდენდა გარკვეულ გავლენას პოლიტიკური ძალების განლაგებაზე. მაგალითად, 1936 წლის ზაფხულში „მილიტარისტებმა“ მხარი დაუჭირეს ორჯონიკიძეს, რითაც გარკვეული წონა მიანიჭეს მას. 1937 წლის თებერვალ-მარტში მათ მონაწილეობა მიიღეს ბუხარინსა და რიკოვზე „ნადირობაში“, რამაც გააიოლა „მემარჯვენეთა“ ლიდერებზე ანგარიშსწორება. მაგრამ ეს ყველაფერი პერიფერიული რხევები იყო. ფსონს კი „მილიტარისტები“ სწორედ სამხედრო გადატრიალებაზე ჩადიოდნენ.

მოლოტოვი, რომელიც ურყევად იყო დარწმუნებული შეთქმულების არსებობაში, ჩუევს ეუბნებოდა, რომ უმაღლესმა ხელმძღვანელობამ გადატრიალების ზუსტი თარიღიც კი იცისო. თუმცა მას ეს თარიღი არ დაუსახელებია, მაგრამ ერთგვარი ალბათობით უნდა მივიჩნიოთ, რომ გადატრიალება იგეგმებოდა 1937 წლის 1 მაისს. ალბათ, ეს უნდა მომხდარიყო სამხედრო აღლუმის დროს.

მეთვალყურეები აღნიშნავენ, რომ პირველი მაისის დღესასწაული მოეწყო საკმაოდ დაძაბულ ვითარებაში. ინგლისელი ჟურნალისტის ფ.მაკლინის დამოწმებით, „პოლიტბიუროს წევრები ნერვულად იცინოდნენ, უხერხულად გადაადგილდებოდნენ ერთი ფეხიდან მეორეზე, აღარ ახსოვდათ არც პარადი და არც თავიანთი მაღალი მდგომარეობა“. ყველა – სტალინის გარდა, ვინც ცივ სიმშვიდეს ინარჩუნებდა.

სტალინმა, როდესაც მავზოლეუმის ტრიბუნაზე ავიდა, დემონსტრაციულად თქვა უარი ტუხაჩევსკისთვის ხელის ჩამორთმევაზე. რა იყო ეს? რისხვის გამოვლინება? არა გვგონია. სტალინი არასოდეს მისცემდა თავს ნებას, რომ გამოევლინებინა თავისი გრძნობები VIP პერსონების ასეთი დიდი თავშეყრის ადგილზე, თუ მიზნად არ ისახავდა გარკვეულ, სავსებით პრაგმატულ მიზნებს. როგორც ეტყობა, მას ამით უნდოდა გაეფრთხილებინა ტუხაჩევსკი, რომ იცის შეთქმულების შესახებ და რომ მას არ მიემართა რაიმე მოუფიქრებელი ზომებისთვის, რასაც შეიძლება მოჰყვეს უზარმაზარი მსხვერპლი და სსრ კავშირის პრესტიჟის დაცემა საერთაშორისო არენაზე.

ყურადღებას იპყრობს ტუხაჩევსკის უცნაური ქცევაც. აღლუმის მთელი პერიოდის განმავლობაში ის იდგა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, რაც მისთვის არ იყო დამახასიათებელი. მას არ გააჩნდა სამხედრო ნიჭი, მაგრამ მას ჰქონდა ლამაზი ტანადობა და არისტოკრატიული მანერები. ცხადია, ტუხაჩევსკის ჯიბეში ედო საბრძოლველად შემართული პირადი იარაღი.

სხვათა შორის, პირად იარაღზე. გამოირჩეოდა ვოროშილოვის, ტუხაჩევსკის ერთ-ერთი მთავარი ოპონენტის ქცევაც. ჩვეულებრივად მავზოლეუმზე ის უიარაღოდ იდგა ხოლმე. მაგრამ იმ დღეს მას ქამარზე დემონსტრაციულად ჰქონდა ჩამოკიდებული პისტოლეტის ბუდე. არა გვგონია, იგი ცარიელი ყოფილიყო...

ჩვეულებრივად სამხედრო ხელმძღვანელები პარადის შემდეგ რჩებოდნენ ხოლმე მშრომელთა საზეიმო დემონსტრაციაზეც. ასე შვრებოდა ტუხაჩევსკიც. მაგრამ ამჯერად ის დაელოდა პარადის დამთავრებას, ჩამოვიდა მავზოლეუმიდან და გაშორდა იქაურობას.

ვ.კრივიცკი, რომელიც მაისის დღესასწაულებში მონაწილეობას ღებულობდა, როგორც საპატიო სტუმარი, საუბრობს იმის შესახებ, რომ შინსახკომის სპეციალურმა განყოფილებამ ყველა სხვა საქმე დაივიწყა და ორი კვირის განმავლობაში ემზადებოდა 1 მაისისთვის. დღესასწაულს ესწრებოდა სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული უამრავი ჩეკისტი.

გადატრიალება არ მოხდა, მაგრამ შეთქმულები თავისუფლებაში აღმოჩნდნენ – დროებით. სტალინს უნდოდა, რაც შეიძლება მეტი რწმუნებანი დაეგროვებინა შეთქმულების სასარგებლოდ და მით დაედუმებინა ყველა დონის ხელმძღვანელობა, ექცია იგი უფრო მორჩილად. თანაც გადამწყვეტი მოქმედება, რომელიც მაისის დასაწყისში წამოიწყეს, შეიძლება დამთავრებულიყო შეიარაღებული შეჯახებით – ყველა მისი თანამდევი შედეგით. ძალიან ძლიერები იყვნენ ამბოხებული გენერლები. და არის ყველა საფუძველი, მივიჩნიოთ, რომ ისინი ამზადებდნენ გადატრიალების კიდევ ერთ მცდელობას, რისთვისაც სურდათ გამოეყენებინათ 12 მაისისთვის დაგეგმილი მუშურ-გლეხური ნითელი არმიის დიდი მანევრები. სტალინმა მიაღწია მანევრების გადადებას, თავად ტუხაჩევსკი კი გადააყენა თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობიდან. ეს 13 მაისს მოხდა, როდესაც ტუხაჩევსკიმ ახალი თანამდებობა მიიღო – ვოლგისპირეთის სამხედრო ოლქის სარდლის პოსტი. მერე დადგა იაგოდას ჯერი, რომელიც ლენინგრადის სამხედრო ოლქში გადაიყვანეს. შემდეგ დაიწყო დიდი დაჭერები. ორგანოებმა დააპატიმრეს საპაერო თავდაცვის ყოფილი უფროსი მედვედევი, აგრეთვე ფელდმანი, კორკი. ყველა მათგანი სწრაფად და ოპერატიულად იძლევა ჩვენებას ტუხაჩევსკიზე და ბევრ სხვა უმაღლეს სამხედრო ხელმძღვანელზე. ამავდროულად გამომძიებლები ანჯღრევენ სამხედრო ტროკცისტებს – პრიმაკოვსა და პუტნას. ისინიც იძლევიან ჩვენებას ტუხაჩევსკიზე. და აი, ბოლოს, 22 მაისს აპატიმრებენ ტუხაჩევსკის, 28 მაისს – იაკირს, 29-ში კი – უბორევიჩს. 30 მაისს თავდაცვის სახალხო კომისარიატიდან გამოაგდეს არმიის პოლიტიკური სამმართველოს უფროსი გამარნიკი. მეორე დღეს ის თავს იკლავს.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 14-68.

◎ ჭიდაობა

თუშიშვილის ბრინჯაო

აზერბაიჯანის დედაქალაქში მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყო. შეჯიბრების პირველ დღეს ოთხმა ქართველმა ფალავანმა მოსინჯა მკლავისა და მუხლის ძალა. სხვებზე უკეთ პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ოთარ თუშიშვილი (66 კგ) გაისარჯა. სტარტზე მან იტალიელ რაიმონდო კამპანას მოუგო, შემდეგ უკრაინელ ევროპის ჩემპიონს, ოლიმპიადის ვერცხლისა და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორ ანდრეი



სტადნიკს სძლია. სამწუხაროდ, ნახევარფინალში რუსთა ახალწვეულ მაგომედმურატ გაჯიევთან დამარცხდა. დამამშვიდებელ წრეში ბულგარელ ისმაილ ემინ რეჟეპს აჯობა დამაჯერებლად და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

55 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვლადიმერ ხინჩუგაშვილმა პირველ წრეში ინგლისელ კრასიმირ კრასტანოვს მოუგო, მაგრამ შემდეგ რუს ვიქტორ ლებედევს ვერ გასცდა. 84 კილოში არჩილ ქიტიაშვილი თურქმა ცერდარ ბოკემ დაჯაბნა, ხოლო ორწლიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ ხალიჩაზე დაბრუნებულმა დავით მოძმანაშვილმა (მძიმე წონა) პირველსავე წრეში ბერძენ მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორ იოანის არზუმანიდისთან წააგო.

ბაქოში ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ევროპის კომიტეტის ასამბლეაზე ფილას პრეზიდენტმა რაფაელ მარტინეტიმ განაცხადა, რომ ნაწილობრივ შეიცვალა 2012 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურების მოპოვების წესები. მომავალ ოლიმპიადაზეც თითოეულ წონაში 20-20 ფალავანი იჭიდავებს. ლიცენზიებს ისევ ქვეყანა მიიღებს და არა სპორტსმენი, როგორც ეს კრივშია. წინასაოლიმპიადო მსოფლიოს ჩემპიონატზე ლონდონში გამგზავრების უფლებას თითოეულ წონაში პირველ-მეექვსე ადგილებზე გასული ათლეტები მიიღებენ. დანარჩენებისთვის ამის შემდეგ გაიმართება კონტინენტური და მსოფლიო საკვალიფიკაციო ტურნირები. მათი კალენდარი მოგვიანებით გაირკვევა.

◎ ლეგიონერი

სულ ზევით, ზევით, მაღლა და მაღლა...

1 აპრილს საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს ვიქტორ სანიკიძეს 24 წელი შეუსრულდა. „ჯვაროსანთა“ გულშემატკივრები დღესაც თანამემამულეთა შარშანდელი წარმატებებით მოგვრილ ეიფორიაში არიან, როცა სწორედ ჩვენი დღევანდელი წერილის გმირის დიდი ძალისხმევით იგორ კოკოშკოვის გუნდმა, როგორც იქნა, გაარღვია მოჯადოებული წრე და, პირველად დამოუკიდებლობის პერიოდში, ევროპის ჩემპიონატის ელიტურ დივიზიონამდე აღზევდა. მართალია, უნივერსალური მოთამაშე უკვე 6 სეზონია ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავს, მაგრამ, ვფიქრობთ, მისი შთამბეჭდავი კარიერის ძირითადი ფურცლებისთვის კიდევ ერთხელ გადახედვა მაინც დაგაინტერესებთ, რადგან საამისოდ სათანადო საფუძველი გაგვაჩნია — ვიქტორ სანიკიძის შეძენით თვით მადრიდის „რეალი“ დაინტერესდა.

ვიკა კალათბურთის სექციაში ორი წლით უფროსმა ძმამ მიიყვანა. 16 წლისა სასწავლებლად ნიუ-იორკის კოლეჯში გაემგზავრა და თამაშიც მისი მაისურით განაგრძო. მოგვიანებით საზაფხულო ლიგაზე „სან-ანტონიო სფურზის“ შემადგენლობაში იასპარეზა, ძვირფასი გამოცდილება შეიძინა და რამდენიმე შეხვედრაში პროფესიულ სამყაროში აღიარებული მწვრთნელის გრეგ პოპოვიჩის ნდობაც დაიმსახურა, მაგრამ ერთ-ერთ ბრძოლაში კოჭი დაიზიანა და მის ამერიკულ ოცნებასაც წერტილი დაესვა (ვიმედოვნებთ, დროებით — რედ.).

სწორედ ოკეანის გაღმა ჩამოყალიბდა სანიკიძე ფართო დიაპაზონის ოსტატად — თუ კოლეჯში იგი მძიმე ფორვარდი, ანუ მეოთხე ნომერი იყო, ტეხასურ კლუბში მსუბუქი ფორვარდის პოზიციაზე, ანუ მესამე ნომრად გაამწესეს. როცა ეკითხებიან, რომელ ამპლუაში გრძნობს თავს უკეთესად, პასუხობს: ძნელი სათქმელია, მეოთხე ნომრად თამაშისას, თანაამპლუელ მეტოქეზე სწრაფად გამოვიყურები, ხოლო თუ მესამე ნომრად ვირჯები, მოწინააღმდეგეზე მაღალი ვარ.

— ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელად ვის დაასახელებდით?

— მაიკლ ჯორდანს. მას კონკურენტი არ ჰყავს.

— მოქმედი ვარსკვლავებიდან?

— ნბა-ში მოთამაშე არაამერიკელთაგან დირკ ნოვიცკის და მანუ ჯინობილის გამოვარჩევ.

ახლა კი, მოდით, ვიქტორის ევროპულ ოდისეაზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა, მით უმეტეს, იგი თანდათან შესამჩნევი ფიგურა ისეთ უძლიერეს ლიგაში ხდება, როგორიცაა იტალიის „სერია-ა“, სადაც ტალინის „როკში“ გიორგი ცინცაძესთან ერთად გატარებული დავუწყარი სეზონის შემდეგ გადავიდა.

ბოლონიის „ვირტუსის“ ძირითად შემადგენლობაში სანიკიძე საშუალოდ 20 წუთს თამაშობს და 6,5 ქულას, 5 მოხსნასა და 1 დაფარებას აგროვებს.

დაგვეთანხმებით, დებიუტანტისთვის ნორმალური მონაგარია, რომელსაც მხარს ეფექტური ჩატენვები, ზუსტი სამქულიანები და პირველი აპენინური მიღწევა — ეროვნული თასის გათამაშების ფინალში გასვლა უმაგრებს, სადაც ბოლონიელთა მეტოქე, არცალიტი, არც ნაკლები, სიენას „მონტეპასკი“ იქნება — გუნდი, რომელიც დამაჯერებლად ლიდერობს იქაურ ჩემპიონატს და წლევანდელ ევროლიგაშიც ღირსეულად გამოვიდა.

და აი, ბედის ახალი გამოწვევა — ვიქტორ სანიკიძე გაისად ადვილი შესაძლებელია, კონტინენტის ყველაზე ტიტულოვანი კლუბის — მადრიდის „რეალის“ წევრი გახდეს.

რაც შეეხება ოცნებას, იგი უცვლელია — ნბა-ში თამაში.

◎ ფეხბურთი

ზალცბურგში — კამერუნთან

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორის ნიკა ჩხეიძის ინფორმაციით, ჩვენი ქვეყნის ეროვნული ნაკრები თემურ ქეცბაიას თავკაცობით 25 მაისს ზალცბურგში კამერუნის გუნდს ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში დაუპირისპირდება, რაც მეტოქისთვის 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ გენერალური რეპეტიცია იქნება.

სფფ-ს თავკაცები კიდევ ერთ ვარიანტზე მუშაობენ — მაისის ბოლოს ან ივნისის დასაწყისში ჯვაროსნები მომდევნო მოწინააღმდეგეს ჩრდილოეთ კორეას, სლოვენიას, მექსიკასა და ჩილეს შორის აირჩევენ.

◎ ჭადრაკი

თამარმა გაიხმიანა



ბერძნულ სალონიკიში გრძელდება ვეტერან მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატი. ქალთა ტურნირზე წარმატებით გამოდის თბილისელი დიდოსტატი თამარ ხმიადაშვილი, რომელმაც მე-4 ტურში ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონს ნონა გაფრინდაშვილს სძლია და 3,5 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება ელენა ფატალიბეკოვა. 2,5 ქულით გაფრინდაშვილი მესამე-მეოთხე ადგილებს ინაწილებს.

კაცებში ხუთი ტურის შემდეგ 4,5-4,5 ქულით ვიქტორ კუპრეიჩიკი და გენადი ტიმოშჩენკო მეწინავეობენ.

შეტყობინება

საააქციო საზოგადოება „წყალმშენი-1“-ში (მისამართი: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქ. №13. ტელ. 93-65-38, 899 41-39-43) საერთო კრების ჩატარებისათვის, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2010 წლის 26 აპრილი.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწეული არიან:

ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები, თუ ისინი რეგისტრირებული არიან საზოგადოების აქციონერთა რეესტრში 2010 წლის 26 აპრილის მდგომარეობით და საერთო კრებაზე წარმოადგენენ რეგისტრატორის მიერ დამოწმებულ აქციონერთა რეესტრიდან ამონაწერს და საკუთარ პირადობის მოწმობას.

აქციონერები კრებაზე მონაწილეობის უფლებას შეამოწმებენ სს „წყალმშენი-1“-ის რეგისტრატორთან შპს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებულ რეგისტრატორთან“ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №74ა, ტელ: 22-53-51; 91-31-42.

◎ ინტერნეტიდან

ჰიდინკი — თურქეთში

მართალია, ფორმალურად ჰოლანდიელი გუს ჰიდინკი ისევ ითვლება ფეხბურთში რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად, მაგრამ სულ მალე მთავრდება მისი კონტრაქტი, თუმცა იქამდე უკვე ბევრი ცდილობს მის გადაბირებას — ლაპარაკი იყო კორეაზეც, კოტ დ' იუვარზეც, რასაკვირველია, „ჩელსიზეც“, საბოლოო გადაწყვეტილებით კი, როგორც ჩანს, ზაფხულიდან ის თურქეთის ნაკრებს ჩაუდგება სათავეში.

როგორც "სპორტ-ეკსპრესი" იტყობინება, ჰოლანდიელი სპეციალისტი შარშანდელი დეკემბრიდან ფიქრობდა ინგლისური „მანჩესტერ სიტის“ ხელმძღვანელობაზე.

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი გუნდი 63 წლის ჰიდინკის კანდიდატურას განიხილავდა მარკ ჰიუზის შემცვლელად, თუმცა საფუძვლიან მოლაპარაკებამდე საქმე არ მისულა. „იყო კონტაქტი კლუბის მხრიდან, და მეტი არაფერი, — განუცხადა ჰოლანდიელმა ინგლისელ ჟურნალისტებს, — ასეთ შანსზე უარის თქმა ჩემთვის ადვილი როდი იყო. ამ კლუბს მდიდარი ისტორია აქვს, და, როგორც ცნობილია, არც სახსრები აკლია, მე მიძნელდებოდა იმის გადაწყვეტა, გამეგრძელებინა კარიერა ნაკრების მთავარ მწვრთნელად, თუ მაინც განმეახლებინა საკლუბო კარიერა. შარშან პრემიერ-ლიგაში „ჩელსისთან“ მუშაობამ ჩემში სასიამოვნო მოგონებები დატოვა“.



ბოლოს და ბოლოს, ჰიუზის ადგილი რობერტო მანჩინიმ დაიკავა, ჰიდინკმა კი მიიღო ვაჟკაცური გადაწყვეტილება და ამ ზაფხულიდან ის თურქეთის ნაკრებს გაწვრთნის.

ვუდსი კი დაბრუნდა... მაგრამ



ამერიკულ ოგასტაში დამთავრდა წლევანდელი პირველი ტურნირი Masters გოლფში. გულშემატკივართა გასახარად, ცოლთან უთანხმოების გამო ოთხთვიანი „შესვენების“ შემდეგ მასში მონაწილეობდა ათგზის „წლის მეგოლფე“ — ამერიკელი ტაგერ ვუდსი.

შეგახსენებთ, რომ შარშან ნოემბერში პრესაში ატყდა დიდი აჟიოტაჟი ცოლისადმი ვუდსის ღალატის გამო. ამავე დროს, სწორედ მაშინ ტაგერი მოხვდა მცირე ავარიაში, როდესაც სახლიდან ფლორიდაში მიემგზავრებოდა, რაც გახდა მისთვის შარშანდელი სეზონის ნაადრევი დამთავრების მიზეზი, თანაც ცოლთან — შვედ მოდელთან ელინ ნორდეგრენთან დიდი უკმაყოფილება ჰქონდა, თუმცა ყველაფერი მისდა სასიკეთოდ დამთავრდა, ამ ახალი ტურნირის გარდა. როგორც ამბობენ, ვუდსმა დასაწყისისთვის შედარებით იოლი ტურნირები კი არ გამოძებნა, არამედ ერთბაშად ჩაება უძლიერესში. თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა. ბოლო მომენტისთვის ის ლიდერთა სამეულშიც იყო. მაგრამ ბოლო დღეს „ბედმა უმტყუნა“ და გაიმარჯვა მეორე ამერიკელმა ფილ მიკელსონმა. ტაიგერი კი მეოთხე ადგილს დასჯერდა.

კატანიის პრინცესა

ფეხბურთელ მაქსი ლოპესის ცოლმა ვანდა ნარამ საქვეყნოდ განაცხადა, რომ თავს კატანიის პრინცესად გრძნობს.

„ის მე პრინცესასავით მეპყრობა, — A სერიის ფეხბურთელთა საუკეთესო ცოლთაგანის ეს სიტყვები მოაქვს ჟურნალს Wag Apperitalieni — მაგალითად, წმიდა ვალენტინის დღეს მაქსმა „ფერარი“ მაჩუქა“.

გასაოცარია, ასეთი ძვირფასი მანქანა კი არა, სულ ცოტა ხნის წინათ ისინი გაყრის ზღვარზე იყვნენ მისულნი ვიდეოში გამოქვეყნებული არგენტინელი ლამაზმანის ძალზე პიკანტური ფოტოების გამო.

„კატანიის“ ფეხბურთელის ცოლმა აღიარა, რომ მზადაა თავისი ახალი ავტომანქანით გასასეირნებლად. „როდესაც ბავშვი საბავშვო ბაღში მიმყავს, წყნარად მივდივარ, მაგრამ როგორც კი თავს მარტო ვიგრძნობ, გაზის პედალის ბოლომდე დაჭერა მინდება. მეორე გატაცება კი — ფეხსაცმელია. ჩვენ დაახლოებით ათასი წყვილი ფეხსაცმელი გვაქვს, საიდანაც 300 ჩემს ქმარს ეკუთვნის.

ხსოვნა

მამია კიკნაძე

ქართულმა ტექნიკურმა ინტელიგენციამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ქართველ მშენებელთა ბრწყინვალე წარმომადგენელი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადმიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი, ჭეშმარიტი მამულიშვილი და ღირსეული მოქალაქე **მამია პეტრეს ძე კიკნაძე.**



ბატონი მამია განეკუთვნებოდა იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთა მოწოდება იყო ყოველთვის მიმდინარე მოვლენების შუაგულში ყოფნა. მის მიერ განვლილი გზა სანიმუშო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს ადამიანი საკუთარ ხალხს და სამშობლოს.

დაიბადა ბაღდადის რაიონის სოფელ დიმში 1918 წლის 10 სექტემბერს. დაწყებითი საშუალო განათლების მიღება დაიწყო სოფელ დიმის საშუალო სკოლაში, დამთავრებით კი დაამთავრა ქ. თბილისის №32 საშუალო სკოლა 1938 წელს. შემდეგ სწავლა განაგრძო ქ. ყაზანის კომუნალურ-სამშენებლო ინსტიტუტში, რომლის დამთავრების მერე სწავლობს ქ. პეტერბურგის სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში, რომელსაც ბრწყინვალედ ამთავრებს 1943 წელს.

როგორც ახალგაზრდა ინჟინერ-მშენებელი, ბატონი მამია ხელმძღვანელობდა სამხედრო ობიექტების მშენებლობებს ჯერ ყირიმში, ხოლო შემდეგ ბელორუსიაში. განსაკუთრებით მძიმე და საპასუხისმგებლო იყო ბატონ მამიასთვის ქ. ბერლინის მისადგომებთან ოპერატიული აეროდრომის მშენებლობა, რომელმაც შემდგომში გადამწყვეტი როლი შეასრულა ამ ქალაქის აღებაში. სამამულო ომის შემდეგ 1945-46 წლებში იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა გერმანიაში დისლოცირებული საბჭოთა ჯარებისთვის აეროდრომებისა და ავიაქალაქების მშენებლობას.

1946 წლიდან საბრძოლო ჭრილობების გართულებასთან დაკავშირებით იგი დემობილიზებული იქნა და უბრუნდება თავის სამშობლოს, ქმნის ოჯახს და იწყებს მოღვაწეობას სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სფეროში, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე არ მიუტოვებია.

მისი მოღვაწეობა იწყება საქართველოს „კვებმრეწვმშენის“ სისტემაში, სადაც ხელმძღვანელობს ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობას, როგორებიცაა ობჩის და წითელი ხევის ღვინის, საირმის მინერალური წყლის ჩამომსხმელი, თბილისის კონიაკის, ცხინვალის ლუდის ქარხნები და მრავალი სხვა.

შემდგომში ბატონი მამია გადმოჰყავთ საქართველოს მშენებლობის სამინისტროს სისტემაში, სადაც მან გაიარა სახელოვანი გზა სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსიდან მშენებლობის მინისტრის მოადგილემდე. სწორედ აქ გაიბრწყინა მისმა ღვთით მომადლებულმა ნიჭმა და სამშენებლო საქმის უმაღლესი სპეციალისტის ალღომ. მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით აშენდა და ჩვენი დედაქალაქი დაამშვენა ისეთმა უნიკალურმა ნაგებობებმა, როგორებიცაა: საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა წერეთლის გამზირზე; ქ. თბილისის სინამდვილეში პირველი უნიკალური მრავალსართულიანი საპროექტო ინსტიტუტების „საქსახმშენპროექტი“, „საქკვებმრეწპროექტი“ და „საქწყალმეურნეობპროექტი“ შენობები ჭავჭავაძის გამზირზე; საქართველოს პრეზიდენტის კანცელარიის (ყოფილი პარტიის ცენტრალური კომიტეტის) შენობა; კიბერნეტიკის ინსტიტუტის და იზოტოპების ქარხნის მაღლივი კარკასული შენობები საბურთალოზე და მრავალი სხვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული თბილისის ოპერისა და თეატრის აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოები, რამაც შეუნარჩუნა ჩვენს დედაქალაქს თავისი დამამშვენებელი ნაგებობა.

განუზომელია ბატონი მამიას დამსახურება ბაიკალ-ამურის მაგისტრალზე „ნია-გრუზინსკაიად“ წოდებული რკინიგზის დასახლების მშენებლობაში, რისთვისაც მას საკავშირო მინისტრთა საბჭოს პრემია მიენიჭა.

ასევე დიდია მისი დამსახურება ქ. მოსკოვში საქართველოს საელჩოს შენობათა კომპლექსის და არბატზე საქართველოს კულტურის ცენტრ „მზიურის“ მშენებლობაში.

ბატონმა მამიამ თავის უსათნოეს მეუღლესთან ერთად შექმნა დიდებული ქართული ოჯახი და აღუზარდა სამშობლოს ორი ღირსეული შვილი.

წავიდა ჩვენგან თავის ხალხსა და სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი, რომელსაც მტკიცედ სწამდა, რომ მისი სამშობლო ბედნიერი და აყვავებული იქნება.

ღმერთმა უსმინოს მას.

მსუბუქი იყოს ბატონო მამია თქვენთვის საყვარელი ქართული მიწა.

კოლეგები და მეგობრები

მამია კიკნაძე

ქვეყნის ტექნიკურ ინტლეიგენციას გამოაკლდა მამია კიკნაძე — ცნობილი მშენებელი, ღირსეული მოქალაქე, კარგი მეგობარი და ბრწყინვალე ოჯახის მეთაური.



ბატონი მამიას სიცოცხლის განვლილი 91 წელი აღსავსეა კეთილი საქმიანობით და სანიმუშო მაგალითია საქმის მცოდნე, მაღალი ზნეობის, ურთიერთობაში დახვეწილი, თავისი ქვეყნის უსაზღვროდ მოყვარული კაცის ცხოვრებისა.

მამია კიკნაძე თბილისის 32-ე სკოლისა და ყაზანის კომუნალურ-სამშენებლო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1943 წელს ამთავრებს ლენინგრადის სამხედრო-საინჟინრო აკადემიას, შემდეგ კი მოქმედ საბჭოთა არმიაშია, სადაც მრავალგზის გამოიჩინა თავი სამხედრო ობიექტების, მათ შორის გერმანიაში დისლოცირებული საბჭოთა ჯარებისათვის აეროდრომებისა და ავიაქალაქების მშენებლობაში.

აღსანიშნავია ბატონ მამიას შრომითი მოღვაწეობა საქართველოს მშენებლობის სამინისტროს სისტემაში, სადაც მისმა მაღალმა კვალიფიკაციამ და შრომის უნარმა განაპირობა მისი დაწინაურება მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე.

მამია კიკნაძის ღვაწლს მიეკუთვნება მრავალი უდიდესი სამრეწველო და სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა არა მარტო საქართველოში, არამედ მის გარეთაც (ბაიკალ-ამურის სარკინიგზო მაგისტრალის დასახლება „ნია-გრუზინსკაია“, კულტურის ცენტრი „მზიური“ და სასტუმროს კომპლექსი მოსკოვში). მისი მაღალეფექტური საქმიანობა სამშენებლო სფეროში არაერთხელ იქნა აღნიშნული ქვეყნის მაღალი ჯილდოებითა და წოდებებით.

წავიდა ჩვენგან მშენებელთა ბერმუხა, დიდად საპატივცემულო პიროვნება, რომლის ხსოვნას დავიწყება არ უწერია მშენებელთა რიგებში.

საქართველოს მშენებელთა ფედერაცია,
საქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენი“

ედუარდ შევარდნაძე მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი შემოქმედი და საზოგადო მოღვაწე

გოგი თოთიბაძე

და თანაგრძნობას უცხადებს სრულიად საქართველოს და ბატონ გოგის ოჯახს.

ედუარდ შევარდნაძე
14.04.2010 წელი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

ძმა აბესალომ იმედაშვილი, რძალი დალი, ძმისწულები ეკა, მამუკა იმედაშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეუჟუნა ნოეს ასული იმედაშვილი-ჯამბურია

დაკრძალვა სამტრედიაში, 17 IV, გამოსვენება გაგარინის 4, 15 სთ.

ჟურნალ „ახალი ხიდის“ რედაქცია მწუხარებით თანაუგრძნობს ჟურნალის რედაქტორს ბატონ აბესალომ იმედაშვილს დის

ეუჟუნა ნოეს ასული იმედაშვილი-ჯამბურიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ კოლეგასა და მეგობარს აბესალომ იმედაშვილს დის

ეუჟუნა იმედაშვილი-ჯამბურიას

გარდაცვალების გამო.

ზურაბ ერქვანია, გია მახარაძე, ლეილა გრძელიძე, გურამ ახალაია, გოდერძი ბუკია, თემურ ხარებავა, მარინა მიქაძე, თემურ კვარაცხელია ოჯახებით თანაუგრძნობენ ბატონ ჯემალ და გიზო კუხალაშვილებს დედის

სონია კუხალაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

გახსენება

ჭიჭე ჩიქოვანი



ჩვენო ტიტე, მეტად ძნელია შენი წარსულში მოხსენიება, ორმოცი დღეა, რაც ეს სამზეო დატოვე და შენმა სპეტაკმა სულმა ზეციურ საქართველოში დაივანა. ჩვენს გულებსა და ხსოვნაში მარად იცოცხლებ როგორც ჭეშმარიტი ინტელიგენტი, სიკეთითა და სიყვარულით გაბრწყინებული უღალატო პიროვნება. გულწრფელობითა და თავმდაბლობით, ნიჭიერებითა და შრომისმოყვარეობით გამორჩეულს ადამიანებთან ურთიერთობის ღვთივბოძებული უნარი გქონდა. სადაც კი იღვწოდი ამ თვისებების გამო დიდად გაფასებდნენ, ასე იყო ყველგან: თბილისის სატყეო მეურნეობის ძირეულ რგოლში ხელმძღვანელ თანამდებობებზე, საკავშირო საპროექტო-საძიებო ინსტიტუტის ამიერკავკასიის ფილიალის დირექტორად, შემდეგ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელად, ინსტიტუტ „საქსატყეომეურნეობპროექტის“ დირექტორად, მისი ლიკვიდაციის შემდეგ (2000 წ.) „საქტყეპროექტის“ დირექტორის პირველ მოადგილედ მუშაობისას.

იყავი დამსახურებული მეტყევე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, მრავალი შრომისა და სამეცნიერო-პოპულარული სტატიის, წიგნების, ბროშურებისა და „სატყეო ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის“ ავტორი. შენი შრომა და ღვაწლი მთავრობის ჯილდოებითაც აღინიშნა.

ჩვენო ტიტე, შენი გარდაცვალებით ზღვარდაუდები საწუხარი დაუტოვე შენს ცოლ-შვილს, ნათესავებსა და მეგობრებს. ყველას მოაკლდება შენი გვერდით დგომა, ნუგეში და მხარდაჭერა.

უფალს ვთხოვთ, რომ ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

გელა დურგლიშვილი

მალხაზ ხარებას ძე სამჭკუაშვილი



დღეს ორი წელი შესრულდა რაც უტიფართა მსხვერპლი გავხდით და ფიზიკურად დავცილდით ერთმანეთს, შენ ამ წუთისოფლიდან მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლე.

რა სატანჯველია უშენობა, დავრჩი ღვთისანაბარად მიტოვებული და ვარსებობ იმიტომ, რომ კარგად მოვუარო შენს, ჩემი უძვირფასესი მშობლების, ეტალონი ძმის, ჩემთვის უცნობი იდეალური დედამთილ-მამამთილის ადგილსამყოფელებს. ყოველ წუთს ჩემთან ხარ, აზრებში, ფიქრებში... ჩემო სულით და ხორცით შემკობილო, განუმეორებელო ადამიანო. ისეთი ხიბლიანი იყავი, რომ ყველას დაწყვიტე გული. არ ვაჭარბებ — წიგნი, რომელიც ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭომ გამოსცა, 155-გვერდიანია, აქედან 90 გვერდი შენზე მოგვითხრობს, შენ ხომ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი იყავი... უმოკლეს დროში მეორე წიგნი გამოვა უფრო ვრცლად, სადაც შენზე დიდი გულისტკივილით წერენ შენი ახლობლები და ცნობილი ადამიანები. ბატონ გივი სიხარულიძესათან ვიყავი რადიოში, სადაც შენდამი მიძღვნილი რამდენიმე ლექსი წავიკითხე, ამის შემდეგ ბატონმა გივიმ შენზე, ჩვენს უსაზღვრო სიყვარულზე ილაპარაკა მთელი 10 წუთი...

იყავი მშვიდად, ჩემთვის, ყველა ახლობლისთვის და უბრალო ნაცნობებისთვისაც მარად დაუვიწყარო, მალხაზ!

შენი მანანა

ლერი ნანიკაშვილი



35 წლის მანძილზე სამეცნიერო დაწესებულებაში ერთად მუშაობამ დაგვამეგობრა. შესანიშნავი და პირუთვნელი მკვლევარი იყო. შენი გამოკვლევები და სქელტანიანი მონოგრაფიები ჩვენი ისტორიის კუთვნილებაა, რომლებსაც აქტუალობის გამო ყოველთვის გამოიყენებენ. უაღრესად შრომისმოყვარე და სიკეთით გამსჭვალულ პიროვნებას ტრადიციული ქართული ოჯახი გქონდა. ეროვნული ტრადიციების გულმხურვალე დამცველი იყავი. მძიმე ავადმყოფობამ დაგრია ხელი. ვინ იფიქრებდა რომ შენ დაკრძალვას ვერ დავესწრებოდით... ახლა კი 40 დღე სრულდება შენი გარდაცვალებიდან...

ნათელში ამყოფოს უფალმა შენი ლამაზი სული. ამინ!

ელვერი, მერი, მევლული და თეონა კუპატაძეები

განცხადება

შპს თასსკი „ელვა“ აცხადებს აუქციონს საწარმოს ბალანსზე რიცხული ფართის იჯარით გაცემაზე შენობის მე-4 სართულზე 1600 მ².

საწყისი საიჯარო ქირა 1 მ²-ზე შეადგენს 4 (ოთხ) ლარს დღგ-ის და კომუნალური გადასახადების დამატებით.

აუქციონი ჩატარდება 2010 წლის 30 აპრილს 12 საათზე, ჯიქიას ქ. №10.

განცხადების მიღების ბოლო ვადაა 2010 წლის 29 აპრილი.

საკონტაქტო ტელეფონი 54-51-95.

საწარმოს დირექცია

◎ ყურადღება!

ჟურნალ „ცენტრალნაია აზია ი კავკაზის“ (სოციალურ-პოლიტიკურ კვლევათა ცენტრი, შვედეთი) მკითხველებს

ჟურნალ „ცენტრალნაია აზია ი კავკაზის“ (სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან პროფესორები გიული ალასანია და ვლადიმერ პაპავა) წარმომადგენელი საქართველოში ჟურნალის ყველა მკითხველს სთხოვს (ვინც აქამდეც უფასოდ იღებდა აღნიშნულ ჟურნალს), 2009 წლის მე-4-მე-5 გაერთიანებული და მე-6 ნომრების მისაღებად მოაკითხოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას.

რუბრიკით „რეგიონალური პოლიტიკა“ მე-4-მე-5 გაერთიანებულ ნომერში დაბეჭდილია პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, საქართველოს პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის ბეჟა ჟედიას – „ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის როლი საქართველოს თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებში“, მე-6 ნომერში ქართველ ავტორთაგან გამოქვეყნებულია საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის გიორგი გოგიას – „საქართველო – სამხრეთ ოსეთი: ომის პრელუდია“; აგრეთვე ნორვიჩის უნივერსიტეტის (ნორტფილდი ვერმონტის შტატი, აშშ) მაგისტრატურაში დიპლომატიის კურსის უფროსი მასწავლებლის ლაშა ჭანტურიძის – „რეგიონალური კონფლიქტების გლობალიზაცია: მთიანი ყარაბაღისთვის მომავალი ომი“ („რეგიონალური კონფლიქტები“); ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის რამაზ აბესაძისა და ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, ამავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ემთერ კაკულიას – „საქართველოში მცირე ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების ფორმირება“;





ჟურნალში სათანამშრომლოდ საჭონორარო ანაზღაურებით ვიწვევთ კვალიფიციურ ავტორებს.

ახალი წლიდან ჟურნალი ხელმოწერითაც ვრცელდება (წელიწადში ახლა უკვე ოთხი ნომერი).

ჩვენი მისამართია: გ. ახვლედიანის 19 (ყოფილი ს. პეროვსკაიას).

ტელ: 899 53-76-16, 99-62-77.

ზაზა სიხარულიძე - 50

ბატონო ზაზა!

საიუბილეო თარიღს გილოცავთ თქვენ - ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს და გისურვებთ, რომ თქვენ და თქვენმა თანამებრძოლებმა თქვენს საფიცარ გიორგისა და მის თაობას სამოლვაწეოდ დაუტოვოთ უკვე ტერიტორიულად გამთლიანებული და სულიერად გაბრწყინებული საქართველო!

ლევისშვილები

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

აუდიტი
34-84-83,
899 49-19-97

◎ დღის კალენდარი — 15 აპრილი

ამოდის 05.22
ჩადის 18.41

ამოდის 05.19
ჩადის 20.00

ღირსისა გიორგისი, მაწყვერელი ეპისკოპოსისა (X); ღირსისა ტიტე სასწაულმოქმედისა (IX); მოწამეთა: ამფიანესი და ედესისა (306); მოწამისა პოლიკარპესი (IV).

დაიბადნენ:

1266 – ჯოტო, დიდი იტალიელი ფერმწერი, პროტორენესანსის წარმომადგენელი. გარდაიცვალა 1337 წელს.

1452 – ლეონარდო და ვინჩი, იტალიელი მხატვარი, მოქანდაკე, არქიტექტორი. გარდაიცვალა 1519 წელს.

1707 – ლეონარდ ეილერი, მათემატიკოსი, მექანიკოსი, ფიზიკოსი და ასტრონომი. მოღვაწეობდა რუსეთში. გარდაიცვალა 1783 წელს.

1800 – ჯეიმს როსი, ინგლისელი მეზღვაური, მკვლევარი. გარდაიცვალა 1862 წელს.

1812 – თეოდორ რუსო, ფრანგი მხატვარ-პეიზაჟისტი. გარდაიცვალა 1916 წელს.

1843 – ჰენრი ჯეიმსი, ამერიკელი მწერალი. გარდაიცვალა 1916 წელს.

1886 – ნიკოლაი გუმილევი, რუსი პოეტი, აკმეისტი. 1921 წელს კონტრრევოლუციურ შეთქმულებაში მონაწილეობისთვის დახვრიტეს.

1898 – დავით კაპანაძე, გამოჩენილი ნუმიზმატი, პროფესორი. გარდაიცვალა 1971 წელს.

1909 – ალექსანდრე კალანდაძე, არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. გარდაიცვალა 1976 წელს.

1929 – მარტინ ლუთერ კინგი, სასულიერო მოღვაწე, სამოქალაქო უფლებებისთვის მებრძოლი.

1940 – გიორგი შხვაცაბაია, მხატვარი.

1944 – ჯოხარ დუდაევი, დამოუკიდებელი ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის პირველი პრეზიდენტი. გარდაიცვალა 1997 წელს.

გარდაიცვალნენ:

1765 – მიხაილ ლომონოსოვი, ცნობილი რუსი მეცნიერი, მწერალი.

1772 – ეტიენ სენტ-ილერი, ფრანგი ნატურალისტი.

1980 – ჟან-პოლ სარტრი, ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი.

1990 – გრეტა გარბო, ცნობილი შვედი მსახიობი.

მოვლენები:

1795 წელი – რუსეთის იმპერიამ ლიტვა დაიპყრო.

1874 წელი – პარიზში გაიმართა პირველი მხატვარ-იმპრესიონისტების გამოფენა.

1922 წელი – კანადელმა ფიზიოლოგებმა ინსულინი აღმოაჩინეს.

ღირსსახსოვარი დღე

ამერიკის შეერთებული შტატები – გადასახადების დღე.

ვედიანიუსი

◎ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

1 აშშ	– 1.7499 ლარი
1 ევრო	– 2.3302 ლარი
1 გირ. სტ.	– 2.6628 ლარი
100 რუბლი	– 5.9520 ლარი
1000 სომ. დრამა	– 4.3636 ლარი
1 აზ. მან.	– 2.1778 ლარი
10 უკრ. გრივნა	– 2.2083 ლარი
1 თურქ. ლირა	– 1.1643 ლარი
10 ჩინ. იუანი	– 2.5643 ლარი

ამინდი დღეს

თბილისი.	+8 – +16
ქუთაისი.	+2 – +8
ბათუმი.	+5 – +9
ზუგდიდი.	+3 – +8
თელავი.	+7 – +13

◎ ანეკდოტები

– გოგონი, რამდენი წლისა ხარ?
– ჩაგსვამენ, ბიძია, ჩაგსვამენ...

* * *

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ყოველი სახელმწიფო ორგანიზაცია მუდამ თვითონ ღებულობს გადაწყვეტილებას.

ამასთანავე მას არ დაუზუსტებია, ვინ არის ჩვენს სახელმწიფოში „თვითონ“.

* * *

რატომ არ ტირიან თანამედროვე მამაკაცები?

– იმიტომ რომ ეშინიათ, თვალის საღებავი არ ჩამოეღვენთოთ.

* * *

ლომმა ყველა მხეცი შეკრიბა და ამბობს:

– დღეს ყველაზე მშიშარას შევჭამთ.

კურდღელი წამოხტება და ყვირის:

– ღორს არავის დავაჩაგვრინებ!

* * *

გახანგრძლივებული დღის ჯგუფში საბავშვო ბაღის გამგე შედის.

– ბავშვებო, რას თამაშობთ?

– საბავშვო ბაღობანას.

– რა საინტერესოა! შეიძლება, რომ გიყუროთ? მიხო ვინ არის თქვენთან?

– მიხო მძღოლია. სადილისთვის პროდუქტები მოაქვს.

– მარო რას შვრება?

– მარო მზარეულია, სადილს გვიმზადებს.

– მაკა რას აკეთებს?

– მაკა არაფერს არ აკეთებს. იგი ბაღის გამგეა.

◎ კადრი

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-“ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.